საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 13 ნოემბერი 2004 №265 (2286) ფასი 50 თეთრი

## ჟირესი და ეროვნული ჩემამდე იყო ნული

საქართველოში ეროვნული გუნდი არ არის — ასე უთქვამთ ალენ ჟირესისთვის, როცა ის აქ მოდიოდა სამუშაოდ. გუშინ კი ჟირესმა თქვა, საქართველოს ეროვნული გუნდი უკვე ჰყავსო. მოკლედ, ჟირესმა პირველი სადანიო პრესკონფერენცია გამართა და ნაკრებში გამოძახებულთა სიაც გამოამზეურა. არ არიან გოჩა ჯამარაული და ჯაბა კანკავა, რომელთა ნაცვლად ჩია ფრანგმა მამია ჯიქიას და ალეკო გოგობერიშვილს უხმო. ჟირესმა გუშინ დანიაზეც ილაპარაკა და დასძინა, მთავარია, მათი შეტევები შევაჩეროთო. კიდევ ის, რომ სადანიო საქართველო სრულად ოდენ ორშაბათ საღამოს შეიკრიბება...





## კალაძე და ტომასონი: საათნახევრით შეწყვეტილი მეგობრობა

...თბილისში მართლაც შესუსტებული შემადგენლობით მოვდივართ და ბევრი პრობლემა გვექნება... ჩვენთვის ისიც პრობლემაა, რომ საქართველოს ნაკრებში კალაძე და არველაძე თამაშობენ, ისინი კი ტოპ-კლასის ფეხბურთელები არიან...

ინტერვიუ იონ დალ ტომასონთან იხილეთ მეორე გვერდზე



## ПЬЮТ ВСЕ! შამპანურით სველი მალხაზ ასათიანი:

...აქ რაღაც წარმოუდგენელი ხდება. დიდიან-პატარიანად ყველა გახარებულია, ჭკუაზე არა ვარ. ვინ საიდან გვირეკავს და გვილოცავს, ვერ გაიგებ...

...15-ში თბილისში ვიქნები. ნაკრები ჩემთვის მეორეხარისხოვანი არასდროს ყოფილა, ახლა საქართველოსთან ერთად უნდა მოვიგო...



# ჩემი მეგობარი კალა

## ტომასონის სამი პრობლემა: კახა, შოთა... დანია

Jon Dahl Tomasson

იონ დალ ტომასონი დღესდღეობით დანიის ნაკრების ლიდერად ითვლება, მით უმეტეს, ახლაა ჩვენი ნაკრების მეტოქე ტომასონის იმედად, როცა ერთბაშად რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლია.

ტომასონი, მოგეხსენებათ, იტალიური „მილანის" ფორვარდია და, გუშინ ისიც შევიტყვეთ, რომ კახა კალაძის ახლო მეგობარიც ყოფილა. მეგობრობა მეგობრობად – იონ დალი და კახა თბილისური მატჩისთვის მილანიდან ერთად გამომგზავრებასაც გეგმავდნენ – მაგრამ თანაგუნდელები, უეჭველია, თბილისში 17 ნოემბერს ერთმანეთს არ დაინდობენ. იქამდე კი „მილანი" იტალიის ჩემპიონატში ხვალ ითამაშებს, ხოლო ИОН ДАЛ ТОМАСОНИ ჩვენთან სტუმრობამდე „სარბიელს" აძლევს ქვემორე ინტერვიუს...




— გეგმები შემეცვალა, კვირას „სიენასთან" ვითამაშებ და მერე კოპენჰაგენში გავფრინდები, საიდანაც გუნდთან ერთად გესტუმრებით — გვითხრა გუშინ ტომასონმა — არადა, მე და კახა კალაძე ვფიქრობდით, რომ თბილისში ერთად წამოვიდოდით. თუმცა არა უშავს, თბილისშიც ვნახავთ ერთმანეთს.

**— კახასთან მეგობრობთ?**

— რა თქმა უნდა, ვმეგობრობთ და ერთმანეთთან ძალიან ახლოსაც ვართ. კალა ძალიან კეთილი ადამიანია და ჩემთვის საამაყოა, რომ მისი მეგობარი ვარ.

**— თქვენი მეგობრობა 17 ნოემბერსაც გაგრძელდება?**

— მატჩის დაწყებიდან საათნახევრით შეწყდება, მერე კი, შედეგის მიუხედავად, ერთმანეთს გადავეხვევით.

**— და რა შედეგს წინასწარმეტყველებთ?**

— ვერანაირს.

**— შეგიძლიათ თქვათ, რომ თბილისში დანია მოიგებს?**

— ჩვენი ნაკრები თბილისში, რა თქმა უნდა, ამისთვის მიდის, თუმც ისიც ვიცით, რა გუნდთან გველის თამაში.

**— თან დანიას პრობლემები აქვს, რამდენიმე ფეხბურთელი დაგაკლდებათ.**

— ეგ ჩვეულებრივი ამბავია, გუნდი უძლიერესი შემადგენლობით იშვიათად თუ შეიკრიბება, ხან ვინ დაშავდება, ხან — ვინ. ტრავმებისთვის ყოველთვის მზად უნდა იყო და ეს ამბავი, ალბათ, ჩვენს მწვრთნელს გათვალისწინებული აქვს. ისე კი, თბილისში მართლაც შესუსტებული შემადგენლობით მოვდივართ და ბევრი პრობლემა გვექნება... ჩვენთვის ისიც პრობლემაა, რომ საქართველოს ნაკრებში კალა და არველაძე თამაშობენ, ისინი კი ტოპ-კლასის ფეხბურთელები არიან.

**— მოკლედ, გაგიჭირდებათ...**

— გაგვიჭირდება... თანაც სტუმრად ვთამაშობთ.

**— სტუმრად თამაში ხომ დანიას კარგად გამოსდის?**

— მართალია, სტუმრად უკეთ ვთამაშობთ, ყოველ შემთხვევაში, შედეგებიდან ასე ჩანს.

**— საქართველოს ნაკრებზე რა იცით?**

— ბოლო დროს რომ გუნდი შეიკრა, ეს ვიცი, კალამ მითხრა. ვიცი, რომ თურქეთში საქართველოს ნაკრები აგებდა და მატჩის ბოლოს ანგარიში გაათანაბრა, ეს კი ქართველების ბრძოლისუნარიანობაზე მეტყველებს.

**— კალაძესთან მომავალ მატჩზე ბევრს ლაპარაკობთ?**

— თითქმის ყოველდღე ვახსენებთ ერთმანეთს, რომ 17-ში მეტოქეები ვიქნებით. მართლაც ბევრს ვლაპარაკობთ საქართველო — დანიის მატჩზე და შეთანხმებულები ვართ, ძალიან რთული მატჩი გველის.

**— თვლით, რომ დანია შესარჩევი ჯგუფის ფავორიტია?**

— ჩვენს გარდა ჯგუფში ხომ თურქეთი, უკრაინა, საბერძნეთი, საქართველო თამაშობენ, ალბანეთსაც კარგი გუნდი ჰყავს. თუ დანიას ფავორიტად თვლით, ეს კარგია და ვეცდებით, შესარჩევი ეტაპის ბოლოს ჩვენი ფავორიტობა შედეგით დავამტკიცოთ.

**კობა ინასარიძე**

მოსკოვის „ლოკომოტივი" რუსეთის ჩემპიონია. გუშინ მალხაზ ასათიანმა და მიხეილ აშვეთიამ პირველად მოიგეს უცხო ქვეყნის ოქრო!

რკინიგზელებმა იაროსლავლში მასპინძელ „შინნიკს" 2:0 აჯობეს და თანაქალაქელ ცსკასთან ერთქულიანი სხვაობა შეინარჩუნეს — „ლოკომოტივი" ჩემპიონია.

სიტყვით არ გადმოიცემა, რაც ხდებოდა გუშინ იაროსლავლში. რკინიგზელებს შამპანური აწვიმდათ, მათ ხომ უამრავი ქომაგი ჩაჰყვა მოსკოვიდან და მთელი ღამე დიდი ღრიანცელი იყო. ბუნებრივია, მისალოცად ჩვენებურებსაც შევეხმიანეთ...

# ასათიანი აშვეთია ОНИ ЧЕМПИОНЫ!

*მალხაზ ასათიანი:* აქ რაღაც წარმოუდგენელი ხდება. დილიან-პატარიანად ყველა გახარებულია, ჭკუაზე არა ვარ. ვინ საიდან გვირეკავს და გვილოცავს, ვერ გაიგებ.

**— რუსეთში მეორე სეზონი ჩაამთავრე და უკვე ჩემპიონიც ხარ...**

— ძალიან მაგარია! ჩემპიონობა ნებისმიერ ქვეყანაში კარგია. საქართველოშიც რომ გავხდი ჩემპიონი, მაშინაც მაგრად გავიხარე და ახლაც. ჩვენ ამას ვიმსახურებდით.

**— რთული მატჩი იყო?**

— სწრაფი გოლი გავიტანეთ და ეს ძალიან დაგვეხმარა. ყველანი ვგრძნობდით, რომ ჩემპიონობა ჩვენს ხელში იყო.

**— მოსკოვიდან ბევრი ქომაგი ჩამოსულა...**

— მართლა ძალიან ბევრნი არიან. თამაშისას მთელი 90 წუთი არ გაჩერებულან და ალბათ ახლაც გესმის, რა დღეში არიან.

**— ცესკას ანგარიში თუ იცოდით თამაშის დროს?**

— სტადიონზე კი აცხადებდნენ, მაგრამ ეს ცრუ ინფორმაცია იყო. ცესკა 0:2 აგებსო, არადა, თურმე იგებდა. ამით ალბათ ჩვენი მოდუნება უნდოდათ, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია. ცესკა რაში გვაინტერესებდა — ჩემპიონები ხომ ჩვენ ვიყავით.

**— და როგორ აღნიშნავთ ახლა ამ ამბავს?**

— ისე, როგორც ჩემპიონობას შეეფერება. ეს დღე ჩვენია და კარგადაც მოვულხენთ.

**— მოგებისთვის განსაკუთრებული პრემიები გქონდათ?**

— ჩემპიონობაზე პრემია ყველგან არის. ეს ჩვეულებრივი ამბავია.

**— მოკლედ, მშვენიერი სეზონი გამოგივიდა...**

— რა თქმა უნდა, ეს სეზონი ჩემთვის ძალიან წარმატებული გამოდგა.

**— ნაკრებში დანიასთან სათამაშოდ როდის მოდიხარ?**

— 15-ში მანდ ვიქნები. ნაკრები ჩემთვის მეორეხარისხოვანი არასდროს ყოფილა, ახლა საქართველოს უნდა დავეხმარო.

**— ერთხელაც გილოცავ ჩემპიონობას!**

— დიდი მადლობა. ვიცი, საქართველოში ბევრი მქომაგობდა და ყველას მადლობას ვუხდი...

გუნდთან ერთად ხარობდა ტრავმირებული *მიხეილ აშვეთიაც*. ბუნებრივია, ოქროს მედალი მიხოსაც მივულოცეთ...

— დიდი მადლობა. ძალიან გამიხარდა, რომ ჩემპიონები გავხდით. თან, ტრიბუნიდან ყურება რა საშინელება ყოფილა, დღეს დავრწმუნდი. რა ხანია, ასე არ მინერვიულია.

**— ახლახან მითხარი, ჩემპიონი თუ გავხდი, ამ სეზონს როგორმე გავამართლებო...**

— ასეცაა... სხვანაირად არც შეიძლება: ამდენი უიღბლობის მერე უცებ ჩემპიონობას მილოცავენ. მთელი მოსკოვი აქ არის და დიდი მხიარულებაა. „ლოკომოტივმა" ეს ყველაფერი ალალად დაიმსახურა.

**კახა შალამბერიძე**



მალხაზ ასათიანი



მიხეილ აშვეთია



# გახოკიძემ ჰოლანდიური გაიხსენა

**გიორგი გახოკიძე** ჰოლანდიურ „ტვენტეში" ბრუნდება. დონეცკის „მეტალურგიდან" ორიოდ თვის წინ აბარგებული 28 წლის ნახევარმცველი დღემდე უგუნდოდაა, თუმც მისი ხელმეორე გადაბირება „ტვენტემ" გადაწყვიტა და ჩვენებურსაც უკვე შეეხმიანა. გოგა დღე-დღეზე ჩავა ჰოლანდიაში და თავის ყოფილ კლუბთან მოლაპარაკებას დაიწყებს. სავარაუდოდ, „ტვენტე" და გახოკიძე ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებენ, თუმც ამის შესახებ უფრო ზუსტად უახლოეს დღეებში გაცნობებთ.

შეგახსენებთ, რომ გახოკიძეს „ტვენტეში" შარშან წარმატებული სეზონი ჰქონდა და ენსხედელთა თასის ფინალში გასვლაში გვარიანი წილიც დაიდო, თუმც მერე დონეცკში გადაბარგება არჩია და...

**კახა შალამბერიძე**

# ლექცია თემაზე: კონკურენცია

## მითხრეს, რომ საქართველოში ეროვნული გუნდი არ არსებობდა...

სანამ საქართველოს ეროვნული ნაკრები დანიასთან 17 ნოემბრის მატჩისთვის 14 ნოემბერს შეიკრიბება, გუნდის ფრანგმა დამრიგებელმა ალენ ჟირესმა გუშინ პრესკონფერენცია გამართა. მუსიე ჟირესის ტრადიციული, ქართული „გამარჯობათ", იუმორი, შუბლის დანაოჭება და სადანიო შემადგენლობა, კიდევ კითხვებზე პასუხი...



— ერთ-ერთი უძნელესი მატჩი გველის, რადგან დანიის ნაკრები მართლაც კარგად თამაშობს, ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრი ასეთია, თუმც ამით ალბათ ახალს არაფერს ვამბობ. მატჩისთვის მოსამზადებლად ცოტა დრო გვაქვს, მაგრამ მოწინააღმდეგეც მსგავს სიტუაციაშია.

— შეკრებას 14 ნოემბერს კი იწყებთ, მაგრამ ნაკრებში გამოძახებულ ყველა ფეხბურთელს თავს ერთად როდის მოუყრით?

— 14 ნოემბერს ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელს კლუბში თამაში აქვს. სრული შემადგენლობით მხოლოდ ერთხელ, თამაშის წინა დღეს შევძლებთ ვარჯიშს.

— დანიას რამდენიმე ფეხბურთელი მოაკლდა და ამაზე რას იტყოდით?

— მოკლებულ დანიელ ფეხბურთელთაგან გრონკიაერს, ჰელვეგს და ლაურსენს გამოვყოფდი.

— დანიასთან რა ტაქტიკით აპირებთ თამაშს?

— თქვენ დანიელთა ბანაკიდან ხომ არ ხართ? ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, ტაქტიკაზე კი ახლა არაფერს ვიტყვი. ისე, უკვე გვაქვს ჩვენი სათამაშო სტილი და მას არ შევცვლით, ცვლილებები თუ იქნება, ბევრი არა.

— დანიის ნაკრების სტილზე რას იტყოდით?

— დანიამ წლეულს ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა და მის სტილს კარგად ვიცნობ. მორტენ ოლსენს შემტევი ფეხბურთი უყვარს, მიმართავს პრესინგს და მისი გუნდის თითოეულ ფეხბურთელს კარგად აქვს გათვითცნობიერებული ის, რომ ერთიანი კოლექტივის წევრია.

— მამია ჯიქია ვისი რეკომენდაციით მიიწვიეთ ნაკრებში?

— მასზე ინფორმაცია გვქონდა და მის თამაშს ვიდეოფირზეც ვუყურეთ. ჩავთვალეთ, რომ ახლა იყო მისი გამოძახების მომენტი.

— ვასილ გიგიაძე არ გამოგიძახიათ, ვინც „შახტარს" ორი გოლი გაუტანა...

— საქართველოს ნაკრების ბირთვი უკვე შეიკრა და ნაკრებში ყოველთვის ვერ გამოიძახებ ახალ ოთხ-ხუთ ფეხბურთელს. ამ ბირთვმა თავისი სახე კარგად წარმოაჩინა, თუმც ცვლილებების დროც დადგება. როცა მე აქ მოვედი სამუშაოდ, მითხრეს, რომ საქართველოს ეროვნული გუნდი, როგორც ასეთი, არ არსებობს, ლეგიონერები ნაკრებში თავდადებით არ თამაშობენო, მაგრამ ახლა ნაღდად იგრძნობა, რომ ეროვნული გუნდი არსებობს. მე ეს ვიცი, რადგან ამ გუნდში ვარ. გოჩა ჯამარაულმა სულაც საკუთარი კარიერა გაწირა ნაკრებისთვის. თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკრების კარი სხვა ფეხბურთელებისთვის დაკეტილია — გუნდს ორი კარი აქვს — შესასვლელი და გასასვლელი, ყველაფერ ამას კი კონკურენცია ჰქვია.

— დანიის ნაკრების ძლიერ მხარეებზე რას იტყოდით?

— დანიელთა მთავარი ღირსება ტექნიკა და სისწრაფეა, მათ ძალიან მუშა ნახევარდაცვა ჰყავთ. ჩვენთვის მთავარია, მეტოქის იერიშები შევაჩეროთ და მერე ჩვენი თამაში ვითამაშოთ.

— ჯაბა კანკავა რატომ აღარ გამოიძახეთ?

— არ მიყვარს კონკრეტულ პიროვნებებზე საუბარი, [illegible] ვიწყებ იმით, რომ კანკავა ძალიან ახალგაზრდაა — და [illegible], რომ მან ახლა ახალგაზრდულ ნაკრებში ითამაშოს, რათა თავდაჯერებულობა დაიბრუნოს. ახალგაზრდა ფეხბურთელების მიმართ ყველამ ძალიან დიდი ყურადღება უნდა გამოიჩინოს. კანკავა ჯერ დამწყები ფეხბურთელია, ის მხოლოდ 18 წლისაა და ახალგაზრდები ფიზიკურად და ფსიქოლოგიურადაც სათუთები არიან.

— ნაკრებში პირველად მიიწვიეთ ალეკო გოგობერიშვილი. ამ ფეხბურთელზე ბევრს კამათობენ, თბილისის „დინამომ" ის სულაც გუნდიდან დაითხოვა...

— რახან ფეხბურთელს ნაკრებში ვიწვევ, ესე იგი, მას ვენდობი. თანაც გოგობერიშვილი იმ ამპლუის ფეხბურთელია, რაც ჩვენთვის ახლა ძალიან მნიშვნელოვანია. გოგობერიშვილს ვაკვირდებოდი და მას ნდობა გამოვუცხადე. კანკავა რომ გამომეძახებინა და ვერ ეთამაშა, ამას მირჩევნია, რომ კანკავამ ახალგაზრდულში ითამაშოს.

— დანიასთან რამდენი ფორვარდით ითამაშებთ?

— ამის შესახებ საქართველოს ნაკრების მწვრთნელს ვკითხავ და ალბათ მეტყვის, რომ ორი თავდამსხმელით ითამაშებს.

**დავით თავართქილაძე**

### საქართველოს ნაკრები

| | | | თ | გ |
|---|---|---|---|---|
| **მეკარეები** | | | | |
| აკაკი დევაძე | თბილისი | 28.11.71 | 18-0 | |
| გიორგი ლომაია | ხიმკი, რუსეთი | 08.08.79 | 14-0 | |
| **მცველები** | | | | |
| ოთარ ხიზანეიშვილი | დინამო, რუსეთი | 26.06.81 | 10-0 | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი, შოტლანდია | 06.10.81 | 28-0 | |
| ლაშა სალუქვაძე | დინამო, თბილისი | 21.12.81 | 2-0 | |
| კახა კალაძე | მილანი, იტალია | 22.02.78 | 39-0 | |
| კახა მქავანაძე | ანჟი, რუსეთი | 02.10.78 | 5-0 | |
| გიორგი შაშიაშვილი | დინამო, თბილისი | 01.09.79 | 11-0 | |
| გივი კვარაცხელია | თბილისი | 11.05.79 | 6-0 | |
| **ნახევარმცველები** | | | | |
| ლადო ბურდული | ლოკომოტივი, თბილისი | 26.02.80 | 13-1 | |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი, გერმანია | 10.10.76 | 32-1 | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე, გერმანია | 10.07.77 | 50-3 | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი, რუსეთი | 04.08.81 | 10-2 | |
| მამია ჯიქია | პლოცკი, პოლონეთი | 11.12.75 | 2-0 | |
| ალეკო გოგობერიშვილი | ლოკომოტივი, თბილისი | 26.02.76 | 3-0 | |
| დავით კვირკველია | დინამო, თბილისი | 27.06.80 | 10-0 | |
| **თავდამსხმელები** | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი, შოტლანდია | 22.02.73 | 51-19 | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი, გერმანია | 23.10.77 | 23-8 | |
| გიორგი დემეტრაძე | მეტალურგი, უკრაინა | 26.09.76 | 33-5 | |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი, უკრაინა | 20.08.80 | 2-0 | |

*თ — თამაში, გ — გოლი*

# სა-ქარ-თვე-ლო!

## ჰიმნი ლაივში, დროშა ჰაერში

დანიასთან მატჩი ძალიან ტევადია, ბევრ რამეს წყვეტს და ბევრ რამეს კიდევ უფრო კარგად დაგვანახებს. ჰოდა, აჟიოტაჟი და ატმოსფეროც თავისებური სჭირდება ამ თამაშს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ განიზრახა, თამაშის დაწყების წინ ემოციური მუხტი გაამძაფროს და შესაფერისი შოუ მოაწყოს.

საქართველოს ჰიმნს ცოცხლად შეასრულებს ანსამბლი „ქართული ხმები", ჰიმნის დამთავრების შემდეგ კი აუშვებენ ბუშტებს, რომელთა ერთობლიობა სახელმწიფო დროშის კონფიგურაციას გამოხატავს.

გარდა ამისა, „ლოკომოტივის" ტრიბუნებზე ექვს ადგილას გაიჭიმება საქართველოს დროშები, ხოლო თითოეულ სკამზე ქაღალდის დროშები დაიდება, რათა ისინი ქომაგმა მოიმარჯვოს. გამორიცხული არაა, ფედერაციამ სხვა დეტალებიც შემატოს მატჩს.

**ლუკა თალაკვაძე**

საქართველოს ჩემპიონატი — პირველი ლიგა — 16 წრე — 13 ტური

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

ჩიხურა 0:1 კახეთი

ვიტ ჯორჯია 1:0 ივერია

ოლიმპი 2:1 მერანი

დღეს

მაღაროელი — დინამო 2

საგარეჯო — სპარტაკი

რუსთავი — ლოკომოტივი 2

გურია — ამერი

ბორჯომი — ცხინვალი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 12 | 10 | 1 | 1 | 34:13 | 31 |
| ვიტ ჯორჯია | 13 | 9 | 2 | 2 | 22:6 | 29 |
| სპარტაკი | 12 | 8 | 4 | 0 | 24:11 | 28 |
| ამერი | 12 | 8 | 1 | 3 | 36:7 | 25 |
| კახეთი | 13 | 8 | 1 | 4 | 24:20 | 25 |
| დინამო 2 | 12 | 6 | 1 | 5 | 25:20 | 19 |
| ცხინვალი | 12 | 5 | 3 | 4 | 17:15 | 18 |
| გურია | 11 | 4 | 2 | 5 | 10:15 | 14 |
| ჩიხურა | 13 | 4 | 2 | 7 | 9:17 | 14 |
| ივერია | 12 | 3 | 5 | 4 | 10:13 | 14 |
| მერანი | 11 | 4 | 1 | 6 | 16:20 | 13 |
| ლოკომოტივი 2 | 12 | 3 | 3 | 6 | 13:19 | 12 |
| ოლიმპი | 13 | 3 | 3 | 7 | 13:19 | 12 |
| რუსთავი | 12 | 3 | 1 | 8 | 15:25 | 10 |
| საგარეჯო | 12 | 1 | 3 | 8 | 9:30 | 6 |
| მაღაროელი | 12 | 0 | 3 | 9 | 6:33 | 3 |

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
გურია — ამერი
13 ნოემბერს 14 საათიდან
ონლაინ რეპორტაჟი ვებ გვერდზე
www.fcameri.ge

სარბიელელები სამძიმარს უცხადებენ დიმიტრი და ლევან აბესაძეებს დედის ნანა აბესაძის გარდაცვალების გამო

ფეხბურთის კლუბი ამერი თანაუგრძნობს დიმიტრი და ლევან აბესაძეებს დედის ნანა აბესაძის გარდაცვალების გამო

## დავით ყიფიანის თასი

### მეოთხედფინალი. წილისყრა

სიტყვა „ყისმათი“ ხშირად ისმის ფეხბურთში და გუშინდელ წილისყრაზეც არაერთხელ გაიგებდით. საქართველოს თასის მეოთხედფინალისტთა დაწყვილებას პროფლიგის საშეჯიბრო განყოფილების უფროსი ნოდარ კაკულია უძღვებოდა.

საქმე კი იქით მიგვყავს, რომ ვთქვათ — გუშინდელი წილისყრის მონაწილე გუნდებიდან ერთიც ვერ იტყვის, ყისმათიანი ვარო. აქვე წყვილებს გეტყვით და თავად განსაჯეთ:

თბილისი — ტორპედო
ვიტ ჯორჯია — ამერი
ბათუმი — დინამო ან ზესტაფონი
კოლხეთი — ლოკომოტივი

აბა, რომელზე იტყვით, აშკარა ფავორიტიაო?! თანაც, არ დაგავიწყდეთ, თასს ხომ სენსაციები უყვარს...



# დასკვნები მერე...

## კენტგუნდა მეოთხედფინალი კენტი პირველლიგელით

მთავარი წილისყრის დაწყებამდე გუნდების წარმომადგენლებმა „მცირე წილისყრა“ იმის გასარკვევად მოაწყვეს, მიეღოთ თუ არა მონაწილეობა „დინამო“-„ზესტაფონის“ წარმომადგენლებს. შეგახსენებთ, რომ თბილისელთა უეფას თასზე მონაწილეობის გამო ამ გუნდების მერვედფინალური მატჩები გადაიდო და 9-12 დეკემბერს ჩატარდება.

მოკლედ, „მცირე წილისყრით“ გადაწყდა, რომ ბურთულა „დინამო“-„ზესტაფონი“ ცილინდრში ბოლომდე დარჩებოდა, თუმც ეს არც ისე მნიშვნელოვანი ამბავი გვგონია და მეტ ყურადღებასაც აღარ დავუთმობთ.

მეოთხედფინალის მთავარი მატჩი კი „თბილისი“ — „ტორპედოა“. ეროვნული ჩემპიონატის სადღეისო ლიდერების შეხლა აქედანვე საინტერესო ჩანს და ფავორიტის დასახელებაც ძალიან ჭირს. ამ წყვილში ყველაფერი შეიძლება მოხდეს და „ტორპედოს“ მცირე უპირატესობად იმასღა თუ ჩავთვლით, რომ საპასუხო მატჩი ქუთაისშია.

„თბილისი“ და „ტორპედო“ ამ სეზონში უკვე შეხვდნენ ერთმანეთს — 2 ოქტომბრის ავლაბრული მატჩი 1:1 მორჩა, თუმც ეს გუნდები წლეულს კიდევ სამჯერ დაწყვილდებიან, თან ერთკვირიან პერიოდში: 1 და 9 დეკემბერს თასის მატჩები რომ არის, უკვე გითხარით და, 5 დეკემბერს ქუთაისში საჩემპიონატო „ტორპედო“ — „თბილისია“. როგორია?!

სათქმელია ისიც, რომ შვიდ საუკეთესო უმაღლესლიგელთან ერთად მეოთხედფინალში ერთადერთი პირველლიგელი, თბილისური „ამერია“. ჰოდა, უცხო თვალით რომ შევხედოთ, გამოდის, ყველაზე მეტად ქვეყნის ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“ გამართლებია — რანგით დაბალლიგელს ეთამაშება, მაგრამ... ვეტერინარები შარშანაც ასე ფიქრობდნენ, როცა ყველასგან განწირულად მიჩნეულმა „სპარტაკმა“ სწორედაც რომ მეოთხედფინალიდან დაიფრინა.

ასე რომ, ნაადრევ დასკვნებს მოვერიდოთ, სულ მცირე, 9 დეკემბრამდე მაინც...

ამერელები კი წარჩინებული მოსწავლესავით იქცევიან და უფროსებზე მოკრძალებით ლაპარაკობენ. „ქვეყნის ჩემპიონთან თამაში ჩვენთვის დიდი პატივია. ამავე დროს მასთან თამაშით გამოცდილებას შევიძენთ და ასე უფრო დავინახავთ, მზად ვართ თუ არა უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად“ — გვითხრა „ამერის“ პრესსამსახურის უფროსმა გიორგი დარჯანიამ.

აქვე ერთ ამერულ სიახლეზეც გეტყვით: გუნდის თავკაცი გიორგი ჩიხრაძე ნოემბრის ბოლოს მოსკოვში სამწვრთნელო სკოლაში მიდის და „ვიტ ჯორჯიასთან“ სათასო მატჩებისას გუნდს ვერ დამოძღვრავს.

და ერთიც, თასის პირველი მატჩები 1 დეკემბერს 13 საათზე დაიწყება. მეოთხედფინალისტთაგან მხოლოდ „ბათუმი“ ისვენებს — მისი მეტოქე ხომ 12 დეკემბერს გაირკვევა.

**ბაჩა ფალავანდიშვილი**

საქართველოს უმაღლესი ლიგა 16 ჩემპიონატი ლიგა 15 ტური მეორე წრე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# თურმანიძის მალამო

## ნუ ისვრი ქვას, ჭამე თხილი

**კობა ინასარიძე** გორიდან

გორი. 12 ნოემბერი. 14 საათი. თენგიზ ბურჯანაძის. 500 (ტევადობა 8 230)

### დილა 0:1 ზესტაფონი

0:1 თურმანიძე (58)

**დილა:** სომხიშვილი, რაზმაძე (გაბლაია 70), ჩაჩუა, ლომიძე, ბალაშვილი, კ. ხანიშვილი, ჯობაძე (დ. ხანიშვილი 46), შატაკიშვილი, წუწუნავა, მგელაძე, სულთანიშვილი (მძინარიშვილი 57)
*სათადარიგონი:* მოსურაძე; ქარქუზაშვილი, მასურაშვილი, ფოფხაძე
**მწვრთნელი:** სოსო ვაშაკიძე

**ზესტაფონი:** მერკვილიშვილი, სიდამონიძე, რაქვიაშვილი, შავგულიძე, ჯაფარიძე, ძამსაშვილი, თურმანიძე, სულაკაძე (გვარუციძე 90), ბესარაშვილი, ნუდნი (კვერნაძე 76), ჩილვინაძე (პარამონოვი 72)
*სათადარიგონი:* თ. ოდიკაძე; მელიქია, ქურციკიძე, ზირაქიშვილი
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**გაფრთხილება:** ბესარაშვილი (45), ჩაჩუა (55), მგელაძე (57), თურმანიძე (72), დ. ხანიშვილი (62), კვერნაძე (86), შავგულიძე (88)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); ლ. სილაგავა (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ს. კუტივაძე; **დირექტორი:** ს. კოტრიკაძე

სხვა ოთხივით, კალენდრით ეს მატჩიც ხუთშაბათს უნდა გამართულიყო, თუმც გადაიდო და ოფიციალური ცნობით ასე ახალგაზრდული ნაკრების ინტერესების გათვალისწინებით მოხდა. პროფლიგაში თქვეს, „დილაში“ და „ზესტაფონში“ ახალგაზრდულის რამდენიმე კანდიდატი თამაშობს და მწვრთნელ გოჩა ტყებუჩავას გორის მატჩზე დასწრება სურსო.

აი, ამ მიზეზით გადაიდო „დილა“ — „ზესტაფონი“, რასაც ათასი კუდიც გამოება. ორივე გუნდი ხომ აუტსაიდერია და ემანდ რაიმე გარიგება არ შედგესო. აქვე ვთქვათ ისიც, რომ გუშინდელ მატჩზე ტყებუჩავა თუ მისი რომელიმე თანაშემწე თვალით არავის უნახავს.

ვნახეთ შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული მიხეილ ქარელი, ვინც მატჩზე მოსვლა კი დაიგვიანა, მაგრამ, სამაგიეროდ, ქომაგებს მიწის თხილით გაუმასპინძლდა. ვინ იცის, აგრესიით განთქმულ გორელ ქომაგს, სასუსნავი რომ არაფერი ჰქონდა, ხელში ქვა აელო და უწინდებურად მსაჯებისთვის დაეშინა. სამწუხაროდ, ქარელის „სუფრას“ ყველა ვერ შეწვდა და ვინც ეს ვერ მოახერხა, არბიტრის ასისტენტი ჩიგოგიძე შერისხა და, მავანმა თავქარიანმა მას რაღაც საგნით ბეჭიც კი დაუზიანა. „თენგიზ ბურჯანაძეზე“ გუშინდელი ექსცესი ეს იყო, სხვა მხრივ მატჩი ნორმალურად ჩატარდა და იმან მოიგო, ვინც მეტად იმსახურებდა.

მატჩი ორი წუთის დაწყებული იყო, გორელებმა გოლის გატანა რომ მოახერხეს. ფანიაშვილმა არ ჩათვალა — მეკარეზე თავდასხმა დააფიქსირა. ამის მერე კი „ზესტაფონის“ უპირატესობა იმდენად აშკარა გახდა, საცოდაობა იქნებოდა, სტუმრები გორიდან თუნდაც ერთი ქულით გაბრუნებულიყვნენ.

მთელი მატჩის განმავლობაში მასპინძლები მერკვილიშვილის კარს სახიფათოდ ერთხელ დაემუქრნენ, ისიც არჩათვლილი გოლიდან ათ წუთში, როცა სულთანიშვილმა შორიდან მოჭრა ბურთი, მაგრამ კარს სულ მცირედით აცილა. საპირისპირო კარისკენ კი მომენტებს თვლა არ ჰქონდა — ჩილვინაძე, თურმანიძე, ბესარაშვილი, ნუდნი, შავგულიძე... მოკლედ, ვისაც არ დაეზარა, სომხიშვილი ყველამ შეაწუხა. გოლი კი სტუმრებმა ვერა და ვერ გაიტანეს და ტაიმიც ასე, 0:0 ჩამთავრდა.

„დილას“ აქტიურობისა, შინ თამაშისა და მოგების სურვილისა არც შესვენების შემდეგ დასტყობია რამე. პირველი ტაიმისგან განსხვავებით მაინცდამაინც არც ზესტაფონელებს გაუმწვავებიათ თამაში. თუმც თხუთმეტ წუთში კი გაიხარეს: „დილამ“ „ზესტაფონის“ მორიგი შეტევა რომ ჩაშალა, მოგერიებულ ბურთს მცველებიც უკანმოუხედავად ცენტრისკენ აჰყვნენ, ამ შეცდომით კი თურმანიძემ ისარგებლა, ბურთიანად გორელ მცველებს შუა გაძვრა, მეკარესთან პირისპირ დარჩა, მასაც გასცდა და ცარიელ კარში გაიტანა.

მერე უკვე „ზესტაფონის“ მწვრთნელმა თემურ მახრაძემ აღარ გარისკა, გუნდი უფრო დაცვაში სათამაშოდ მომართა და საფავისო ანგარიშიც შეინარჩუნა ისე კი, მატჩის დამთავრებამდე ორი-სამი წუთით ადრე ზესტაფონელებს მეორე გოლის გატანაც მართებდათ, სტუმართა ოთხი ფეხბურთელი „დილას“ საჯარიმოსთან ბალაშვილისა და სომხიშვილის პირისპირ დარჩა, მაგრამ უზუსტო პასებით შეტევა უშედეგოდ დაუმთავრდათ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 15 | 9 | 5 | 1 | 22:8 | 32 |
| თბილისი | 15 | 9 | 3 | 3 | 33:17 | 30 |
| დინამო | 15 | 9 | 3 | 3 | 30:16 | 30 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 7 | 4 | 4 | 26:19 | 25 |
| ლოკომოტივი | 15 | 6 | 7 | 2 | 19:7 | 25 |
| ბათუმი | 15 | 6 | 4 | 5 | 21:13 | 22 |
| ზესტაფონი | 15 | 4 | 1 | 10 | 10:32 | 13 |
| კოლხეთი | 15 | 3 | 3 | 9 | 10:23 | 12 |
| სიონი | 15 | 3 | 2 | 10 | 13:33 | 11 |
| დილა | 15 | 2 | 2 | 11 | 11:27 | 8 |

### საუკეთესო

#### გიორგი თურმანიძე



*„ზესტაფონის“ გამთამაშებელმა გიორგი თურმანიძემ, შეიძლება ითქვას, მარტომ მოუგო „დილას“ გორში პრინციპული მატჩი. ჰკი ერთადერთი ისეთი გაუტანა მასპინძლებს, თქვენ მოწონებულიყო, რომ იტყვიან. გორული დაცვის ჯებირს სხარტად გასცდა, მცველებს მეკარე მიაყოლა და გაიტანა. გოლი გოლად და, თურმანიძის სამქულიანით „ზესტაფონი“ ცხრილში ერთბაშად სამი საფეხურით აცოცდა და სახიფათო ზონას თავი დააღწია.*



გიორგი თურმანიძემ (№18) გორელების დაცვა გაშლივითაც გაჭრა და გაიტანა კიდეც

## რუსეთი

**პრემიერლიგა. XXX ტური**

**შინიკი 0:2 ლოკომოტივი**

0:1 ბილიალეტდინოვი (4), 0:2 სიჩოვი (21)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ევსეევი, სენიკოვი, ასათიანი, გურენკო, ხოხლოვი (ნიჟეგოროდოვი 79), ფ. ლიმა, მამინოვი, ლოსკოვი, ბილიალეტდინოვი, სიჩოვი (ჩესნაუსკისი 90)

მწვრთნელი: იური სიომინი

**მოსკოვი 1:4 ცსკა**

1:0 ბაბა ადამუ (10), 1:1 სემაკი (43), 1:2 ვაგნერი (49), 1:3 დანი (60), 1:4 ვაგნერი (67)

**როტორი 2:5 ზენიტი**

0:1 კერჟაკოვი (10), 1:1 გოგნიევი (40), 1:2 არშავინი (41), 1:3 სპივაკი (47), 1:4 დენისოვი (59), 2:4 ესიპოვი (85), 2:5 დენისოვი (88)

**სატურნი 1:2 კრილია**

1:0 ბისტროვი (44), 1:1 კოლოდინი (51), 1:2 ანიუკოვი (73)

**ტორპედო 4:1 როსტოვი**

0:1 ალხაზოვი (11), 1:1 ბუდილინი (23), 2:1 ზირიანოვი (30), 3:1, 4:1 პანოვი (44, 61)

**დინამო 1:1 სპარტაკი**

1:0 ბესჩასტნიხი (15), 1:1 კავენაგი (25)

**რუბინი 4:1 ალანია**

1:0 კალისტო (3), 2:0 ასტაფიევსი (18), 2:1 ბაზაევი (25), 3:1, 4:1 ჩიჟეკი (45, 81)

**ამკარი 1:2 ყუბანი**

0:1 ტლისოვი (59), 1:1 ვასილიევი (60), 1:2 კისელიოვი (75)

# ლოკომოტივის ოქრო გაჩერება



„შინიკი" — „ლოკომოტივი", 87-ე წუთი. მოსკოველები 2:0-ს იგებენ, მასპინძლები უტევენ. იაროსლაველი კუშერი სტუმართა საჯარიმოში ბურთიანად შევარდა და დარტყმა სცადა, მაგრამ მალხაზ ასათიანმა არ დაანება.

90 წუთი ამოიწურა. მეორე გოლის ავტორ სიჩოვს ცვლიან, ფორვარდი ნელა გადის მოედნიდან. ამ მომენტში იური სიომინს უკვე ფოტოკორესპონდენტები დაეხვივნენ და ყოველი მხრიდან აჩხაკუნებენ. შეხვედრა დამთავრდა. დმიტრი სიჩოვი დროშის ფრიალით დარბის — „ლოკომოტივი" ჩემპიონია!

რუსული პრემიერლიგა გუშინ დასრულდა და მოსკოვის „ლოკომოტივს" ოქრო ერგო. ამ ოქროს გამოდნობაში ქართველებმა თავისი წვლილი შეიტანეს. მალხაზ ასათიანი და მიხეილ აშვეთია რუსეთის ჩემპიონები გახდნენ.

„საიუზის" დაშლის შემდეგ მოსკოვის „სპარტაკი" გრიალებდა და პირველობას არავის უთმობდა. „სახალხო გუნდი" 1995 წელს ვალერი გაზაევის ვლადიკავკაზის „ალანიამ" ჩამოაგდო ტახტიდან და იმ „ალანიაშიც" ქართველები იყვნენ.

1996 წლიდან „სპარტაკი" კვლავ ყოჩაღობდა, მაგრამ 2002-ში მოსკოვის „ლოკომოტივმა" ჩამოართვა პირველობა.

შარშან ოქროს მედლის მფლობელი „ოქროს" მატჩმა გადაწყვიტა, რომელშიც გაზაევის ცსკა-მ „ლოკომოტივს" მოუგო, წლეულს ისევ ეს ორი გუნდი იბრძოდა ჩემპიონობისთვის და რკინიგზელებს „ოქროს მატჩი" აღარ დასჭირვებიათ.

სეზონის დასაწყისში ვინ იფიქრებდა, რომ „ლოკომოტივი" ჩემპიონი გახდებოდა, სიომინის შეგირდებმა ძალიან მძიმედ დაიწყეს და მათთვის შეუფერებელ ადგილას, ცხრილის შუაში ტრიალებდნენ.

ცსკა, რომელიც გასულ ზამთარს პორტუგალიელ არტურ ჟორჟეს ჩააბარეს, მერე კი გაზაევს ანდეს, ასევე მძიმედ თამაშობდა და ამიტომაც იყო, რომ პირველი წრის ბოლოს ცხრილს მოსკოვის „ტორპედო" ჩაუდგა სათავეში, მეორე წრის დაწყებიდან კი უკლო, სამაგიეროდ, პეტერბურგის „ზენიტმა" უმატა და ნევისპირელები ნაადრევად კინაღამ ჩემპიონებად გამოაცხადეს.

„ზენიტი" უეფას თასზე, ცსკა კი ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ჩაერთო და ამ გუნდების საშინაო ცეცხლიც განელდა, რითაც „ლოკომოტივმა" ისარგებლა და ჩემპიონატის ბოლო ბრწყინვალედ განვლო.

ბოლოსწინა ტურში ცსკა-ს ფრემ, „ზენიტის" მარცხმა და რკინიგზელთა გამარჯვებამ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. სიომინის შეგირდებს იაროსლავლში გამარჯვება ჩემპიონობას აჩუქებდა და ეს ამბავი გუშინ მოხდა.

მეოთხე წუთზე ბილიალიტდინოვმა ანგარიში გახსნა, ხოლო შემდეგ სიჩოვმა მეორე მიაყოლა.

„ზენიტმა" ვოლგოგრადში, ცსკამ კი მოსკოვში „მოსკოვს" მოუგო, მაგრამ ამით „ლოკოს" ვერაფერი დააკლეს. იური სიომინმა შარშანდელი მარცხისთვის გაზაევთან რევანში გუშინ აიღო.

ცსკა მეორე ადგილს დასჯერდა, მესამეზე რუსეთის კვალობაზე საკმაოდ სიმპათიური „კრილია სოვეტოვი" გავიდა, ხოლო „ზენიტს" მეოთხე ადგილი ერგო. ნევისპირელებს ის თუ დაამშვიდებთ, რომ მათი ფორვარდი კერჟაკოვი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ახალგამომცხვარმა ჩემპიონმა ხოხლოვმა განაცხადა: „ძალიან მიხარია, რადგან რუსეთში ოქრო პირველად მოვიგე. თამაშის დროს გავიგე, რომ „მოსკოვთან" ცსკა-ც დაწინაურდა და ამის გამო ცოტა ვინერვიულე, მაგრამ გამარჯვებაში მაინც დარწმუნებული ვიყავი".

**ვაჟა ხუციშვილი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 30 | 18 | 7 | 5 | 44:19 | 61 |
| ცსკა | 30 | 17 | 9 | 4 | 53:22 | 60 |
| ზენიტი | 30 | 17 | 5 | 8 | 55:37 | 56 |
| კრილია | 30 | 17 | 5 | 8 | 50:41 | 56 |
| ტორპედო | 30 | 16 | 6 | 8 | 53:37 | 54 |
| შინიკი | 30 | 12 | 8 | 10 | 29:29 | 44 |
| სატურნი | 30 | 10 | 11 | 9 | 37:30 | 41 |
| სპარტაკი | 30 | 11 | 7 | 12 | 43:44 | 40 |
| მოსკოვი | 30 | 10 | 10 | 10 | 38:39 | 40 |
| რუბინი | 30 | 7 | 12 | 11 | 32:31 | 33 |
| ამკარი | 30 | 6 | 12 | 12 | 27:42 | 30 |
| დინამო | 30 | 6 | 11 | 13 | 27:38 | 29 |
| როსტოვი | 30 | 7 | 8 | 15 | 28:42 | 29 |
| ალანია | 30 | 7 | 7 | 16 | 28:52 | 28 |
| ყუბანი | 30 | 6 | 10 | 14 | 26:42 | 28 |
| როტორი | 30 | 4 | 10 | 16 | 28:53 | 22 |



# მისტერ X

**იტალიური** გრანდების, „მილანისა" და „ინტერის" ტიფოზებს ერთმანეთი როგორ უყვართ, გეცოდინებათ.

გუშინ „შავ-წითელ" ქომაგთა მსხვერპლი „შავ-ლურჯთა" მწვრთნელი რობერტო მანჩინი შეიქნა.

ოთხშაბათს „ინტერმა" ჩემპიონატში კიდევ ვერ მოიგო, „სან სიროზე" „ბოლონიას" 2:2 დაუზავდა, რაც მისთვის მეცხრე ფრე გახლდათ.

მანჩინი სასტუმრო „მელიადან" „ინტერის" საწვრთნელ ბაზაზე მიდიოდა, „მილანის" ქომაგებს რომ შეეფეთა.

„როსონერის" ტიფოზებს მანჩინისთვის უცენზურო სიტყვები არ უთქვამთ, უბრალოდ ასე შეამკეს: „ნახეთ, ნახეთ, ეს ხომ მისტერ X-ია, ფრეების მოყვარული კაცი".

ცხადია, დამცინავმა ტონმა და ნათქვამმა მანჩინის თავმოყვარეობა შელახა, რობერტომაც უკან არ დაიხია და „შავ-წითლებს" გაექაჩა.

გაექაჩა და ატყდა ქალაქის ცენტრში დაკა-დაკა, ჩხუბისას მანჩინი არ დაშავებულა, მას „ინტერის" მეორე მწვრთნელი ფერნანდო ორსი და ტექნიკური ასისტენტი ფაუსტო სალსანო მიეშველნენ და „მილანის" გიჟმაჟებს დროულად განარიდეს.

**გიორგი ვაშაკიძე**

# როიალ ლიგა 2004-2005

**A ჯგუფი. I ტური**

ესბიერგი (დანია) 0:1 ვოლერენგა (ნორვეგია)

რუსენბორგი (ნორვეგია) 4:4 იურგორდენი (შვედეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვოლერენგა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| იურგორდენი | 1 | 0 | 1 | 0 | 4:4 | 1 |
| რუსენბორგი | 1 | 0 | 1 | 0 | 4:4 | 1 |
| ესბიერგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

**B ჯგუფი. I ტური**

ბრონდბიუ (დანია) 3:2 ტრომსიო (ნორვეგია)

გიოტებორგი (შვედეთი) 0:1 კოპენჰაგენი (დანია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| კოპენჰაგენი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ტრომსიო | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| გიოტებორგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

**C ჯგუფი. I ტური**

მალმიო (შვედეთი) 2:0 ოდენსე (დანია)

ბრანი (ნორვეგია) 1:0 ჰალმსტადი (შვედეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ბრანი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ჰალმსტადი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ოდენსე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 3 |

## ამხანაგური მატჩი. 17 ნოემბერი

### გერმანია – კამერუნი

**გერმანია**

*მეკარეები: ოლივერ კანი (ბაიერნი), იენს ლემანი (არსენალი, ინგლისი);*

*მცველები: პერ მერტესაკერი (ხანოვერი), კრისტიან ვიორნსი (დორტმუნდი), რობერტ ჰუთი (ჩელსი, ინგლისი), ფილიპ ლამი (შტუტგარტი), მორის ვოლცი (ფულემი, ინგლისი);*

*ნახევარმცველები: მიხაელ ბალაკი (ბაიერნი), ფრანკ ბაუმანი (ვერდერი), ტიმ ბოროვსკი (ვერდერი), ფაბიან ერნსტი (ვერდერი), ტორსტენ ფრინგსი (ბაიერნი), თომას ჰიცლშპერგერი (ასტონ ვილა, ინგლისი), ბერნდ შნაიდერი (ლევერკუზენი), ბასტიან შვაინსტაიგერი (ბაიერნი);*

*თავდამსხმელები: ჯერალდ ასამოა (შალკე), თომას ბრდარიჩი (ვოლფსბურგი), მიროსლავ კლოზე (ვერდერი), კევინ კურანი (შტუტგარტი)*

## მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. I ჯგუფი. 17 ნოემბერი

### ანდორა – ჰოლანდია

**ჰოლანდია**

*მეკარეები: ედვინ ვან დერ სარი (ფულემი, ინგლისი), მაარტენ შტეკელენბურგი (აიაქსი);*

*მცველები: ხალიდ ბულარუზი (ვალვაიკი), მარიო მელხიოტი (ბირმინგემი, ინგლისი), ნაიჯელ დე იონგი (აიაქსი), ფილიპ კოკუ (პსვ ეინდჰოვენი), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (ბარსელონა, ესპანეთი), იორის მათიისენი (ალკმაარი);*

*ნახევარმცველები: მარკ ვან ბომელი (პსვ ეინდჰოვენი), რაფაელ ვან დერ ვაარტი (აიაქსი), ედგარ დავიდსი (ინტერი, იტალია), უესლი სნეიდერი (აიაქსი), დენი ლანძაატი (ალკმაარი), არიენ რობენი (ჩელსი, ინგლისი);*

*თავდამსხმელები: პიერ ვან ჰოიდონკი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), როი მაკაი (ბაიერნი, გერმანია), რომეო კასტელენი (ფეიენოორდი), დირკ კუიტი (ფეიენოორდი), რუუდ ვან ნისტელროი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი)*

## იტალია

**სერია A. XI ტური**

**მესინა 0:0 პალერმო**

მესინა: ელეფთეროპულოსი, ზორო კპოლო (ერამო 90), ძანკი, რეზაეი, არონიკა, ამეტრანო (რაფაელი 76), კოპოლა, დონატი, ილიევი, ნ. ამორუზო, დი ნაპოლი (იანაგისავა 76)

მწვრთნელი: ბორტოლო მუტი

პალერმო: გუარდალბენი, ძაკარდო, ბიავა, ბარძალი, კონტეში, მ. გონსალესი, კორინი (ბარონე 85), მორონე, სანტანა (გროსო 75), ძაული (ფარიასი 62), ტონი

მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი

გაფრთხილება: ძაული, რეზაეი, ძანკი

მსაჯი: დონდარინი

35 000 მაყურებელი

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

## უკრაინა

**უმაღლესი ლიგა. XIII ტური**

ბორისფენი 0:1 მეტალურგი (დ)

არსენალი 2:1 ჩერნომორეცი

კრივბასი 0:0 ვოლინი

მეტალისტი 1:0 ილიჩევეცი

მეტალურგი (ზ) 1:1 დნიპრო

ობოლონი 0:7 დინამო

ვორსკლა 1:0 ტავრია

შახტარი 1:0 ზაკარპატია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 13 | 11 | 0 | 2 | 24:6 | 33 |
| დინამო | 13 | 10 | 2 | 1 | 28:7 | 32 |
| მეტალურგი (დ) | 13 | 9 | 2 | 2 | 22:13 | 29 |
| ვოლინი | 13 | 7 | 3 | 3 | 16:12 | 24 |
| მეტალისტი | 13 | 6 | 2 | 5 | 17:17 | 20 |
| კრივბასი | 13 | 4 | 6 | 3 | 12:11 | 18 |
| ჩერნომორეცი | 13 | 5 | 2 | 6 | 11:11 | 17 |
| ილიჩევეცი | 13 | 4 | 5 | 4 | 21:18 | 17 |
| დნიპრო | 13 | 4 | 5 | 4 | 16:18 | 17 |
| არსენალი | 13 | 4 | 5 | 4 | 15:18 | 17 |
| ვორსკლა | 13 | 3 | 2 | 8 | 6:15 | 11 |
| ობოლონი | 13 | 2 | 5 | 6 | 7:17 | 11 |
| მეტალურგი (ზ) | 13 | 1 | 8 | 4 | 9:16 | 11 |
| ზაკარპატია | 13 | 2 | 4 | 7 | 9:16 | 10 |
| ტავრია | 13 | 2 | 3 | 8 | 10:17 | 9 |
| ბორისფენი | 13 | 0 | 6 | 7 | 5:16 | 6 |

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 93-16-08

# იტალია

პაპუნა კედია





პანუჩიმ დელ ნერის მოუბოდიშა და ხვალ ალბათ ითამაშებს

# კაცი ყოფილხარ, კრისტიან!

## დელ ნერიმ ერთი ბოდიში მოისმინა

| XII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ატალანტა | : | ბრეშა |
| კალიარი | : | ინტერი |
| ფიორენტინა | : | ლივორნო |
| ლაციო | : | ბოლონია |
| ლეჩე | : | იუვენტუსი |
| მილანი | : | სიენა |
| პალერმო | : | სამპდორია |
| პარმა | : | კიევო |
| რეჯინა | : | რომა |
| უდინეზე | : | მესინა |

| სატურნირო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 11 | 9 | 1 | 1 | 22:4 | 28 |
| მილანი | 11 | 6 | 4 | 1 | 16:7 | 22 |
| უდინეზე | 11 | 5 | 3 | 3 | 17:11 | 18 |
| ლეჩე | 11 | 4 | 4 | 3 | 24:20 | 16 |
| მესინა | 11 | 4 | 4 | 3 | 16:16 | 16 |
| კიევო | 11 | 4 | 4 | 3 | 8:10 | 16 |
| ინტერი | 11 | 2 | 9 | 0 | 20:17 | 15 |
| ლივორნო | 11 | 4 | 3 | 4 | 11:13 | 15 |
| კალიარი | 11 | 4 | 3 | 4 | 12:15 | 15 |
| ფიორენტინა | 11 | 3 | 5 | 3 | 11:9 | 14 |
| სამპდორია | 11 | 4 | 2 | 5 | 8:8 | 14 |
| ლაციო | 11 | 3 | 4 | 4 | 11:11 | 13 |
| რომა | 11 | 3 | 4 | 4 | 19:20 | 13 |
| ბრეშა | 11 | 4 | 1 | 6 | 10:16 | 13 |
| ბოლონია | 11 | 3 | 3 | 5 | 12:14 | 12 |
| პალერმო | 11 | 2 | 6 | 3 | 7:9 | 12 |
| პარმა | 11 | 2 | 5 | 4 | 12:17 | 11 |
| სიენა | 11 | 2 | 5 | 4 | 7:14 | 11 |
| რეჯინა | 11 | 2 | 4 | 5 | 8:12 | 10 |
| ატალანტა | 11 | 0 | 6 | 5 | 11:19 | 6 |

„ეს კაცი დიდი ადამიანი ყოფილა, მან ბოდიში მოიხადა. ამიერიდან ჩვენი ურთიერთობა ისეთივე მჭიდრო იქნება, როგორიც იმ ინციდენტამდე იყო" — თქვა „რომას" მწვრთნელმა ლუიჯი დელ ნერიმ ვეტერანი მცველის, კრისტიან პანუჩის შესახებ. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელს და მწვრთნელს რამდენიმე კვირის წინ შელაპარაკება მოუხდათ. ფეხბურთელს ზედმეტი მოუვიდა, თუმცა, როგორც ხედავთ, შეცდომა გამოასწორა. რაც შეეხება მეორე „მოჯანყე რომაელს", ანტონიო კასანოს, იგი გუნდთან ერთად კი ვარჯიშობს, მაგრამ დელ ნერისთვის ჯერ არ მოუბოდიშებია.

„მინდა, ეს ბიჭი გუნდს, რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეს — დასძინა დელ ნერიმ — თუმცა მანამდე გულში უნდა ჩაიხედოს. იგი რომ კარგი ფეხბურთელია, ფაქტია, მაგრამ ჯერ რაც დაკარგა, უნდა აინაზღაუროს".

ერთი სიტყვით, თუ კასანო ახლა არ იხდის ბოდიშს და გულაჩუყებული დელ ნერიც შემადგენლობაში არ ასახელებს, იგი ხვალ, ჩვენი დროით, 17 საათზე რეჯო კალაბრიის „სტადიო გრანილოზე" არ უნდა იდგეს დანარჩენ რომაელებთან ერთად, პანუჩი კი წესით იქ უნდა იყოს. შეგახსენებთ, რომ „რომას" ოთხშაბათს, მშობლიურ „სტადიო ოლიმპიკოზე", „უდინეზესგან" ნაწვნევი 0:3 აქვს გამოსასწორებელი.

„მილანი" „სან სიროზე" „სიენას" მასპინძლობს და იცის, რომ ბოლო ორ ტურში „იუვენტუსის" დაწევის შანსი გაუშვა ხელიდან. ერთი სიტყვით, „შავ-წითლებმა" „სიენას" უნდა მოუგონ, თორემ ლიდერს ექვსი ქულით ჩამორჩებიან, **რაც** ბუნებრივია, უსიამოვნო ამბავია.

მაგრამ ამჯერად „მილანი", როგორც ჩანს, გოლს გაიტანს, ვინაიდან მოედანს ანდრეი შევჩენკო უბრუნდება. მისი მეწყვილე დანიელი იონ დალ ტომასონი იქნება თუ არგენტინელი ერნან კრესპო, ამწუთას ჩვენთვის უცნობია. ხოლო, რაც შეეხება კახა კალაძეს, თუ ანჩელოტისეულ მარცხენა მცველის როტაციის პრინციპს ვირწმუნებთ, ხვალ სკამზე უნდა იჯდეს.

„იუვენტუსი" ლეჩეშია და ძალიან კარგად იცის, რომ ერთი ფეხის დაცდენა თუ შერჩა, მეორეს აღარავინ აპატიებს. შეგახსენებთ იმასაც, რომ ლეჩელებს ჩეხი ზდენეკ ზემანი წვრთნის, ადამიანი, რომლის ოდინდელ ინტერვიუს მოჰყვა ის გამოძიება, რომლის შედეგადაც „ბებერი ქალბატონის" ექიმს, რიკარდო აგრიკოლას ციხე ელის — საუბარია მთელ იმ დოპინგ-ისტორიებზე, რომელიც იმ ინტერვიუს მოჰყვა. ერთი სიტყვით, „შავ-თეთრებს" ყველა საბაბი აქვთ ჭკუა ასწავლონ თავხედ „ლეჩეს", მაგრამ ვაი, რომ ეს ძნელი საქმეა. „ლეჩე" ჩინებული გუნდია, რომლის თავდასხმაშიც ისეთი ვარსკვლავი თამაშობს, როგორიც ყმაწვილი ბულგარელი ვალერი ბოჟინოვია.

არ არის გამორიცხული, „იუვენტუსის" ნახევარდაცვის ცენტრში ემერსონის ნაცვლად თავიდანვე ითამაშოს „ფიორენტინასთან" ოთხშაბათის თამაშის მომგებმა რუბენ ოლივერამ.

„ინტერი" კალიარიში... არა, ნუთუ მართლა მეათე ფრეს ითამაშებს მეთორმეტე შეხვედრაში?

„ინტერს" ხუან სებასტიან ვერონი დაშავებული ჰყავს, ალვარო რეკობა მთლად ფორმაში ვერ არის, დეიან სტანკოვიჩმა ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცი მოიხადა და ბრუნდება. სავარაუდოდ, მწვრთნელი რობერტო მანჩინი მოედანზე მარკო მატერაცისა და ივან კორდობასაც დააბრუნებს.

# ინგლისი

ვაჟა ხუციშვილი

# იოლისთვის არსენალთან არ იქნება იოლი

| XIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბირმინგემი | : | ევერტონი |
| ბოლტონი | : | ასტონ ვილა |
| ჩარლტონი | : | ნორვიჩი |
| ფულემი | : | ჩელსი |
| ლივერპული | : | კრ. პალასი |
| სიტი | : | ბლექბერნი |
| საუთჰემპტონი | : | პორტსმუთი |
| ტოტენჰემი | : | არსენალი |
| **ხვალ** | | |
| ვესტ ბრომვიჩი | : | მიდლსბრო |
| ნიუკასლი | : | მანჩესტერი |

| სატურნირო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 12 | 9 | 2 | 1 | 17:3 | 29 |
| არსენალი | 12 | 8 | 3 | 1 | 32:13 | 27 |
| ევერტონი | 12 | 7 | 2 | 3 | 14:11 | 23 |
| ბოლტონი | 12 | 6 | 4 | 2 | 19:14 | 22 |
| მიდლსბრო | 12 | 5 | 4 | 3 | 20:15 | 19 |
| ასტონ ვილა | 12 | 4 | 6 | 2 | 17:13 | 18 |
| მანჩესტერი | 12 | 4 | 6 | 2 | 11:9 | 18 |
| ლივერპული | 11 | 5 | 2 | 4 | 18:11 | 17 |
| ნიუკასლი | 12 | 4 | 4 | 4 | 23:23 | 16 |
| პორტსმუთი | 11 | 4 | 3 | 4 | 15:15 | 15 |
| ჩარლტონი | 12 | 4 | 3 | 5 | 13:21 | 15 |
| ფულემი | 12 | 4 | 2 | 6 | 16:20 | 14 |
| სიტი | 12 | 3 | 4 | 5 | 13:12 | 13 |
| ტოტენჰემი | 12 | 3 | 4 | 5 | 8:11 | 13 |
| ბირმინგემი | 12 | 2 | 6 | 4 | 8:10 | 12 |
| კრ. პალასი | 12 | 3 | 3 | 6 | 13:16 | 12 |
| ვესტ ბრომვიჩი | 12 | 1 | 6 | 5 | 11:22 | 9 |
| საუთჰემპტონი | 12 | 1 | 5 | 6 | 10:16 | 8 |
| ნორვიჩი | 12 | 0 | 8 | 4 | 11:19 | 8 |
| ბლექბერნი | 12 | 1 | 5 | 6 | 10:25 | 8 |

**„სენტ ჯეიმს პარკზე"** ხვალ ტურის მთავარი მატჩია — „ნიუკასლი" „მანჩესტერ იუნაიტედს" მასპინძლობს. გრემ სუნესის გუნდი ზედიზედ ორ პრემიერლიგურ შეხვედრაში დამარცხდა, გასულ ოთხშაბათს კი ინგლისის ლიგის თასიდან „ჩელსიმ" გააგდო.

„მანჩესტერ იუნაიტედმა" „არსენალის" ძლევის შემდეგ პორტსმუთში წააგო, მერე ქალაქურ დერბიში კიგანის „სიტის" დაუზავდა და ლიგის თასზე „კრისტალ პალასს" მოუგო.



ბოლო ორ ტურში ექვსი გოლის გამშვებ „ნიუკალის" დაცვას უეინ რუნისთან, რუუდ ვან ნისტელროისთან და კრისტიანო რონალდოსთან შეხლა მოუწევს. „ტოტენჰემიდან" გაქცეული ჟაკ სანტინის ადგილი მარტინ იოლმა ჩაიბარა და „მამლების" მთავარი მწვრთნელის რანგში მისი ოფიციალური პრემიერლიგური დებიუტი ლონდონურ დერბიში, „არსენალთან" შედგება. შევნიშნოთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედთან" მარცხის მერე „მეთოფეებს" ჩემპიონატში თამაში არ მოუგიათ.

„საუთჰემპტონი" ლიგის თასზე ქვედადივიზიონელ „უოტფორდთან" 2:5 შერცხვა და დღეს ზღვისპირულ დერბიში „პორტსმუთს" თუ ვერ სძლია, ეგებ მასპინძელთა მწვრთნელი სტივ უიგლი გაათავისუფლონ. უგლის კი ტრავმამოშუშებული მეგოლის ჯეიმს ბიტის ეიმედება, რომელიც საამატჩოდ დაბრუნდება. „პორტსმუთს" საუთჰემპტონში 1988 წლის შემდეგ არ მოუგია.

რაფაელ ბენიტესმა „მიდლსბროსთან" სათასო შეხვედრაში ხაბი ალონსო, დიტმარ ჰამანი და ლუის გარსია დაასვენა, რომლებიც დღეს „კრისტალ პალასთან" სავარაუდოდ ძირითად შემადგენლობაში იქნებიან. ჩეხი ფორვარდი მილან ბაროში კი დაშავებულია.

დასავლეთ ლონდონში „ფულემი" პრემიერლიგის ლიდერ „ჩელსის" დაუხვდება. ჟოზე მაურინიუს ალექსეი სმერტინი დააკლდება, ხოლო კლოდ მაკელელემ და რიკარდუ კარვალიუმ გასულ ოთხშბათს „ნიუკასლთან" მოგებულ შეხვედრაში დაისვენეს და ამჯერად ალბათ ითამაშებენ.

„ჩარლტონს" „ნორვიჩთან" დისკვალიფიცირებული ფორვარდი შონ ბარტლეტი არ ეყოლება, რომელიც წინა ტურში „ტოტენჰემთან" მატჩში გაუძევეს.

ამ სეზონში ყოჩაღად მოთამაშე „ბოლტონი" „ასტონ ვილას" მიიღებს. დევიდ ოლირის შეგირდებმა ბოლო რამდენიმე ტურში ქულები გვარიანად მოიხვეჭეს და მეექვსე ადგილს უწიეს.

| 10057 | ბოხუმი-ბაიერნი | 5.0 | 2.1 | 2.1 | 1.47 | 1.47 | 1.04 |
| 10058 | ჰანზა-ჰამბურგი | 2.9 | 2.0 | 3.2 | 1.18 | 1.52 | 1.23 |
| 10079 | ბილბაო-ვილიარეალი | 2.6 | 2.0 | 3.7 | 1.13 | 1.52 | 1.29 |
| 10080 | ბეტისი-ბარსელონა | 4.6 | 2.1 | 2.2 | 1.44 | 1.48 | 1.07 |
| 10081 | ესპანიოლი-რასინგი | 2.2 | 2.1 | 4.6 | 1.07 | 1.48 | 1.44 |
| 10082 | ხეტაფე-მალაგა | 2.55 | 2.0 | 3.8 | 1.12 | 1.52 | 1.31 |
| 10083 | დეპორტივო-ლევანტე | 1.95 | 2.2 | 5.2 | 1.03 | 1.41 | 1.54 |
| 10084 | მალიორკა-ატლეტიკო | 2.7 | 2.1 | 3.2 | 1.18 | 1.46 | 1.26 |
| 10085 | ნუმანსია-სევილია | 3.9 | 2.05 | 2.4 | 1.34 | 1.48 | 1.1 |
| 10086 | ოსასუნა-სოსიედადი | 2.35 | 2.1 | 4.0 | 1.1 | 1.48 | 1.37 |
| 10087 | რეალი-ალბასეტე | 1.4 | 3.0 | 8.0 | 1.0 | 1.19 | 2.18 |
| 10088 | ვალენსია-სარაგოსა | 2.1 | 2.1 | 5.1 | 1.04 | 1.48 | 1.48 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15040 | საუთჰემპტონი-პორტსმუთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15041 | ტოტენჰემი-არსენალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15042 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15043 | ჩარლტონი-ნორვიჩი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15044 | ფულემი-ჩელსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15045 | ლივერპული-კრისტალ პალასი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15046 | სიტი-ბლექბერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15047 | ბირმინგემი-ევერტონი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15048 | ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15049 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15050 | ფრაიბურგი-არმინია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15051 | ჰანოვერი-მაინცი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15052 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15053 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15054 | შალკე-ჰერტა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15055 | ვერდერი-ლევერკუზენი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15056 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15057 | ბოხუმი-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 1058 | ჰანზა-ჰამბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15069 | ატალანტა-ბრეშა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15070 | კალიარი-ინტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15071 | ფიორენტინა-ლივორნო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15072 | ლაციო-ბოლონია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15073 | ლეჩე-იუვენტუსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15074 | მილანი-სიენა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15075 | პალერმო-სამპდორია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15076 | პარმა-კიევო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15077 | რეჯინა-რომა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15078 | უდინეზე-მესინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15079 | ბილბაო-ვილიარეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15080 | ბეტისი-ბარსელონა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15081 | ესპანიოლი-რასინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15082 | ხეტაფე-მალაგა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15083 | დეპორტივო-ლევანტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15084 | მალიორკა-ატლეტიკო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15085 | ნუმანსია-სევილია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15086 | ოსასუნა-სოსიედადი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15087 | რეალი-ალბასეტე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15088 | ვალენსია-სარაგოსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13040 | საუთჰემპტონი-პორტსმუთი | 1.7 | 1.9 |
| 13041 | ტოტენჰემი-არსენალი | 1.7 | 1.9 |
| 13042 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 1.7 | 1.9 |
| 13043 | ჩარლტონი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 13044 | ფულემი-ჩელსი | 1.7 | 1.9 |
| 13045 | ლივერპული-კრისტალ პალასი | 1.7 | 1.9 |
| 13046 | სიტი-ბლექბერნი | 1.7 | 1.9 |
| 13047 | ბირმინგემი-ევერტონი | 1.7 | 1.9 |
| 13048 | ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 13049 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 1.7 | 1.9 |
| 13050 | ფრაიბურგი-არმინია | 1.65 | 1.95 |
| 13051 | ჰანოვერი-მაინცი | 1.7 | 1.9 |
| 13052 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 1.7 | 1.9 |
| 13053 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 1.7 | 1.9 |
| 13054 | შალკე-ჰერტა | 1.7 | 1.9 |
| 13055 | ვერდერი-ლევერკუზენი | 1.65 | 1.95 |
| 13056 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.75 | 1.85 |
| 13057 | ბოხუმი-ბაიერნი | 1.7 | 1.9 |
| 13058 | ჰანზა-ჰამბურგი | 1.7 | 1.9 |
| 13069 | ატალანტა-ბრეშა | 1.7 | 1.9 |
| 13070 | კალიარი-ინტერი | 1.65 | 1.95 |
| 13071 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.7 | 1.9 |
| 13072 | ლაციო-ბოლონია | 1.7 | 1.9 |
| 13073 | ლეჩე-იუვენტუსი | 1.9 | 1.7 |
| 13074 | მილანი-სიენა | 1.7 | 1.9 |
| 13075 | პალერმო-სამპდორია | 1.7 | 1.9 |
| 13076 | პარმა-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 13077 | რეჯინა-რომა | 1.7 | 1.9 |
| 13078 | უდინეზე-მესინა | 1.7 | 1.9 |
| 13079 | ბილბაო-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |
| 13080 | ბეტისი-ბარსელონა | 1.7 | 1.9 |
| 13081 | ესპანიოლი-რასინგი | 1.7 | 1.9 |
| 13082 | ხეტაფე-მალაგა | 1.7 | 1.9 |
| 13083 | დეპორტივო-ლევანტე | 1.7 | 1.9 |
| 13084 | მალიორკა-ატლეტიკო | 1.6 | 2.0 |
| 13085 | ნუმანსია-სევილია | 1.6 | 2.0 |
| 13086 | ოსასუნა-სოსიედადი | 1.6 | 2.0 |
| 13087 | რეალი-ალბასეტე | 1.7 | 1.9 |
| 13088 | ვალენსია-სარაგოსა | 1.65 | 1.95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| 12040 | საუთჰემპტონი-პორტსმუთი | 1.7 | 1.9 |
| 12041 | ტოტენჰემი-არსენალი | 1.7 | 1.9 |
| 12042 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 1.75 | 1.85 |
| 12043 | ჩარლტონი-ნორვიჩი | 1.7 | 1.9 |
| 12044 | ფულემი-ჩელსი | 1.7 | 1.9 |
| 12045 | ლივერპული-კრისტალ პალასი | 1.7 | 1.9 |
| 12046 | სიტი-ბლექბერნი | 1.7 | 1.9 |
| 12047 | ბირმინგემი-ევერტონი | 1.7 | 1.9 |
| 12048 | ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |
| 12049 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 1.75 | 1.85 |
| 12050 | ფრაიბურგი-არმინია | 1.9 | 1.7 |
| 12051 | ჰანოვერი-მაინცი | 1.95 | 1.65 |
| 12052 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 1.85 | 1.75 |
| 12053 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 1.9 | 1.7 |
| 12054 | შალკე-ჰერტა | 1.85 | 1.75 |
| 12055 | ვერდერი-ლევერკუზენი | 2.0 | 1.6 |
| 12056 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.9 | 1.7 |
| 12057 | ბოხუმი-ბაიერნი | 1.9 | 1.7 |
| 12058 | ჰანზა-ჰამბურგი | 1.9 | 1.7 |
| 12069 | ატალანტა-ბრეშა | 1.7 | 1.9 |
| 12070 | კალიარი-ინტერი | 1.9 | 1.7 |
| 12071 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.75 | 1.85 |
| 12072 | ლაციო-ბოლონია | 1.7 | 1.9 |
| 12073 | ლეჩე-იუვენტუსი | 1.9 | 1.7 |
| 12074 | მილანი-სიენა | 1.9 | 1.7 |
| 12075 | პალერმო-სამპდორია | 1.65 | 1.95 |
| 12076 | პარმა-კიევო | 1.7 | 1.9 |
| 12077 | რეჯინა-რომა | 1.8 | 1.8 |
| 12078 | უდინეზე-მესინა | 1.7 | 1.9 |
| 12079 | ბილბაო-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |
| 12080 | ბეტისი-ბარსელონა | 1.8 | 1.8 |
| 12081 | ესპანიოლი-რასინგი | 1.7 | 1.9 |
| 12082 | ხეტაფე-მალაგა | 1.7 | 1.9 |
| 12083 | დეპორტივო-ლევანტე | 1.75 | 1.85 |
| 12084 | მალიორკა-ატლეტიკო | 1.8 | 1.8 |
| 12085 | ნუმანსია-სევილია | 1.8 | 1.8 |
| 12086 | ოსასუნა-სოსიედადი | 1.8 | 1.8 |
| 12087 | რეალი-ალბასეტე | 2.0 | 1.6 |
| 12088 | ვალენსია-სარაგოსა | 1.8 | 1.8 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14040 | საუთჰემპტონი-პორტსმუთი | 1.8 | 2.0 |
| 14041 | ტოტენჰემი-არსენალი | 2.3 | 1.65 |
| 14042 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 1.8 | 2.0 |
| 14043 | ჩარლტონი-ნორვიჩი | 1.7 | 2.2 |
| 14044 | ფულემი-ჩელსი | 2.4 | 1.6 |
| 14045 | ლივერპული-კრისტალ პალასი | 1.3 | 3.0 |
| 14046 | სიტი-ბლექბერნი | 1.7 | 2.2 |
| 14047 | ბირმინგემი-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 14048 | ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 1.95 | 1.85 |
| 14049 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 2.0 | 1.8 |
| 14050 | ფრაიბურგი-არმინია | 1.8 | 2.0 |
| 14051 | ჰანოვერი-მაინცი | 1.7 | 2.2 |
| 14052 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 1.9 | 1.9 |
| 14053 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 1.7 | 2.2 |
| 14054 | შალკე-ჰერტა | 1.5 | 2.6 |
| 14055 | ვერდერი-ლევერკუზენი | 1.7 | 2.2 |
| 14056 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 1.9 | 1.9 |
| 14057 | ბოხუმი-ბაიერნი | 2.3 | 1.65 |
| 14058 | ჰანზა-ჰამბურგი | 1.9 | 1.9 |
| 14069 | ატალანტა-ბრეშა | 1.85 | 1.95 |
| 14370 | კალიარი-ინტერი | 2.2 | 1.7 |
| 14071 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.7 | 2.2 |
| 14072 | ლაციო-ბოლონია | 1.75 | 2.1 |
| 14073 | ლეჩე-იუვენტუსი | 2.2 | 1.7 |
| 14074 | მილანი-სიენა | 1.3 | 3.0 |
| 14075 | პალერმო-სამპდორია | 1.8 | 2.0 |
| 14076 | პარმა-კიევო | 1.8 | 2.0 |
| 14077 | რეჯინა-რომა | 2.0 | 1.8 |
| 14078 | უდინეზე-მესინა | 1.7 | 2.2 |
| 14079 | ბილბაო-ვილიარეალი | 1.8 | 2.0 |
| 14080 | ბეტისი-ბარსელონა | 2.2 | 1.7 |
| 14081 | ესპანიოლი-რასინგი | 1.7 | 2.2 |
| 14082 | ხეტაფე-მალაგა | 1.75 | 2.1 |
| 14083 | დეპორტივო-ლევანტე | 1.65 | 2.3 |
| 14084 | მალიორკა-ატლეტიკო | 1.9 | 1.9 |
| 14085 | ნუმანსია-სევილია | 2.1 | 1.75 |
| 14086 | ოსასუნა-სოსიედადი | 1.75 | 2.1 |
| 14087 | რეალი-ალბასეტე | 1.3 | 3.0 |
| 14088 | ვალენსია-სარაგოსა | 1.65 | 2.3 |

| 1-ლი | ტაიმი/ძირითადი დრო. | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11040 | საუთჰემპტონი-პორტსმუთი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11041 | ტოტენჰემი-არსენალი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11042 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11043 | ჩარლტონი-ნორვიჩი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11044 | ფულემი-ჩელსი | 8.0 | 10.0 | 20.0 | 9.0 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.3 |
| 11045 | ლივერპული-კრისტალ პალასი | 2.0 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.8 | 10.0 | 20.0 | 20.0 | 10.0 |
| 11046 | სიტი-ბლექბერნი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11047 | ბირმინგემი-ევერტონი | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11048 | ვესტ ბრომვიჩი-მიდლსბრო | 4.0 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.6 |
| 11049 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 4.6 | 10.0 | 20.0 | 5.3 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.4 |
| 11050 | ფრაიბურგი-არმინია | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11051 | ჰანოვერი-მაინცი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11052 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11053 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11054 | შალკე-ჰერტა | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11055 | ვერდერი-ლევერკუზენი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.8 |
| 11056 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11057 | ბოხუმი-ბაიერნი | 6.8 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11058 | ჰანზა-ჰამბურგი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11069 | ატალანტა-ბრეშა | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11070 | კალიარი-ინტერი | 5.6 | 10.0 | 20.0 | 6.5 | 4.4 | 3.8 | 20.0 | 10.0 | 2.8 |
| 11071 | ფიორენტინა-ლივორნო | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11072 | ლაციო-ბოლონია | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11073 | ლეჩე-იუვენტუსი | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.0 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.7 |
| 11074 | მილანი-სიენა | 1.8 | 15.0 | 35.0 | 3.4 | 4.8 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11075 | პალერმო-სამპდორია | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.5 |
| 11076 | პარმა-კიევო | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11077 | რეჯინა-რომა | 4.5 | 10.0 | 20.0 | 5.0 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.4 |
| 11078 | უდინეზე-მესინა | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11079 | ბილბაო-ვილიარეალი | 3.2 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.4 |
| 11080 | ბეტისი-ბარსელონა | 5.8 | 10.0 | 20.0 | 6.5 | 4.4 | 3.8 | 20.0 | 10.0 | 2.8 |
| 11081 | ესპანიოლი-რასინგი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.8 |
| 11082 | ხეტაფე-მალაგა | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11083 | დეპორტივო-ლევანტე | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11084 | მალიორკა-ატლეტიკო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.7 |
| 11085 | ნუმანსია-სევილია | 5.0 | 10.0 | 20.0 | 5.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 3.1 |
| 11086 | ოსასუნა-სოსიედადი | 3.1 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.4 | 5.5 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11087 | რეალი-ალბასეტე | 1.7 | 15.0 | 40.0 | 3.4 | 5.0 | 14.0 | 20.0 | 10.0 | 12.0 |
| 11088 | ვალენსია-სარაგოსა | 2.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |

# გამოვიდარებთ კრასნოდარში?

## ჩილე-ურუგვაი რუსეთით უნდა შევაბრუნოთ



ბორჯღალოსნებს რუსებთან ჯახი კარს მოადგათ

**ჩილე-ურუგვაის** ტურნედან ხელცარიელად დაბრუნებული საქართველოს ნაკრები მორიგი საერთაშორისო ჯახისთვის მზადებას შეუდგა. შეხსენება არ გჭირდებათ, „ბორჯღალოსნები" 20 ნოემბერს ევროპის 2005 წლის ერთა თასის შეხვედრას კრასნოდარში გამართავენ ისტორიულ მეტოქე რუსეთთან, რომელსაც ამ მატჩში სლავთა ყოფილი ყოჩალმორაგბე იგორ მირონოვი უთავკაცებს.

ურუგვაისთან 7:17 და ჩილესთან 24:30 წაგებამ ჩვენი გულშემატკივრები შეაშფოთა. მართლაც, ამ ორი სამხრეთამერიკული ნაკრებიდან სარაგბო გოლიათობას ვერც ერთს „დავაბრალებთ", მეტიც, ჩილე-ურუგვაის მაინცდამაინც ვერც რუსეთზე წინ დააყენებს ვინმე და საფიქრალიც გაჩნდა — სლავმა „დათვებმა" ნავსი არ გატეხონ და წლობით დაგროვილი ბოღმა უცებ არ გადმოანთხიონ.

იმედს კი ის გვაძლევს, რომ ბორჯღალოსანთა მწვრთნელებს დავით ჩავლეიშვილსა და მალხაზ ჭეიშვილს სამხრეთამერიკულ ტურნეში შესუსტებული შემადგენლობა ჰყავდათ. ფრანგული კლუბებიდან ჩვენს ბიჭებს ორი კვირით არავინ გამოუშვებდა, სარუსეთოდ კი ლეგიონერები უხვად გვეყოლებიან. როგორც შევიტყვეთ, „ბორჯღალოსნები" 16 ნოემბერს თბილისში სრულად შეიკრიბებიან, ხოლო კრასნოდარისკენ 19-ში აიღებენ გეზს, საბოლოო 22-კაციანი შემადგენლობაც მატჩისწინა დღეს გამოცხადდება, ჯერჯერობით კი მხოლოდ ის ვიცით, რომ „დათვებთან" სათამაშოდ ვერ ჩამოვლენ აქსენტი გიორგაძე, გიორგი მათიაშვილი, პალიკო ჯიმშელაძე და გია ჩხაიძე.

რუსთა თავკაცმა მირონოვმა კი საკრასნოდარო მატჩისთვის შეგირდები ფრანგულ შეკრებაზე წაასხა, საიდანაც 17 ნოემბერს დაბრუნდებიან. ასევე ცნობილია, რომ „ბორჯღალოსნებთან" ვერ იბურთავებენ სლავთა ვეტერანი ლიდერები — 38 წლის სერგეი სერგეევი და კონსტანტინ რაჩკოვი.

მირონოვის რჩეულები კი ესენი არიან: დენის აკულოვი, ალექსეი კორობეინიკოვი, პაველ ნოვიკოვი, ალექსეი რეჩნევი, იაროსლავ რეჩნევი, რომან რომაკი (ყველა ენისეი), სერგეი ბელოუსოვი, ალექსანდრ კაზანცევი, იგორ კლიუჩნიკოვი, ვიქტორ კობზევი, ვლადისლავ კირშუნოვი, ანდრეი კუზინი, კირილ კუშნარევი, ვიქტორ მოტორინი, ალექსეი ტრავკინი, ალექსეი პანასენკო, ალექსანდრ ხროკინი (ყველა ვვა), ანდრეი გარბუზოვი, ალექსანდრ გვოზდოვსკი, ვლადიმირ სიმონოვი, რაშიდ საგდეევი, ვალერი ფედჩენკო, ოლეგ შუკაილოვი (ყველა კრასნი იარი), დმიტრი ლოსკუტოვი, ანდრეი ლუგინი, ალექსანდრ იანუშკინი (სამივე პენზა), ვიაჩესლავ გრაჩოვი (მონტობანი, საფრანგეთი), მურატ უამბაევი (ბეზიე, საფრანგეთი)

**ილია ნანობაშვილი**

# მამალი ბდღვნად ღირს

## ოზები ფრანგებს პარიზში შეესევიან

**სანოემბრო** ტესტ-მატჩები ნელ-ნელა ხურდება და მსოფლიო რაგბის მამებს ისე შეუდგენიათ კალენდარი, კვირა არ გავა, 3 თამაშიდან ერთი მაინც გამორჩეულად ეშხიანი და ლაზათიანი არ გამოდგეს. შაბათს ასეთი მატჩი პარიზში გაიმართება — იქაური „მამლები" ავსტრალიელ „ვოლაბებს" დაუხვდებიან და ეჭვი არაა, დიდ ბრძოლას გაუმართავენ.

ბოლო რვა წელიწადში ფრანგები რვაჯერ გადაეყარნენ ოზებს, მათ შორის ერთხელ უელსის მთავარქალაქ კარდიფში, სადაც მსოფლიოს თასის ფინალში დამარცხდნენ. ეს ამბავი 1999 წელს მოხდა, ორი წლის შემდეგ მარსელში მასპინძლებმა 14:13 სძლიეს სამხრეთელებს, თუმცა ეს იყო და ეს, ბოლო რვა თამაშში შვიდჯერ სწორედ ფრანგებს მოუწიათ მოედნიდან მეტოქის „დერეფნით" გაცილება.

სტატისტიკა „ვოლაბთა" მხარესაა, თუმცა მათი მთავარი მწვრთნელი ედი ჯონსი მოუთმენლად ელის ამ მატჩს და ამბობს, ფრანგთა ძლევა საკუთარი გულშემატკივრებით გაძეძგილ სტადიონზე იოლი საქმე სულაც არ იქნება. ბოლოს და ბოლოს, 6 ერის თასის მფლობელები არიან და სწორედ ამიტომაცაა, მთელი გუნდი რომ სულმოუთქმელად ველით დამდეგ შაბათსო.

შემადგენლობას რაც შეეხება, ჯონსმა სასტარტო განაცხადში ზუსტად ის 15 მორაგბე შეიყვანა, რომლებმაც გასულ შაბათს შოტლანდიასთან დაიწყეს თამაში. მწვრთნელმა სრულიად სამართლიანად აღნიშნა — წინა მატჩი მოვიგეთ და ახლა რაიმე რატომ უნდა შევცვალო, არ მესმისო.

პარიზში ნათამაშები ავსტრალია, შემდეგ ისევ შოტლანდიას მიუბრუნდება და ბრიტების კიდევ ერთხელ დამარცხებას შეეცდება, ამის მერე კი მეზობელ ინგლისს ესტუმრება „საქმიანი ვიზიტით". ბოლო მსოფლიოს თასის ფინალში ნაწვნევი მარცხისთვის საუკეთესო რევანში ის იქნება, ყველაფერში მათ მოქიშპე ოზებმა ინგლისელები საკუთარ კედლებშივე თუ დაჩაგრეს.

ეს თხუთმეტი კაცი კი შაბათს პარიზში სასტარტო შემადგენლობაში იქნება: კრის ლათამი, კლაიდ რეთბოუნი, სტირლინგ მორტლოკი, მეტ ჟიტო, ლოუთ ტუქირი; სტივენ ლარქემი, ჯორჯ გრეგანი (კაპ); ჯონ რო, ფილ ვუ, ჯორჯ სმიტი, დანიელ ვიკერმანი, ჯასტინ ჰარისონი, ალ ბაქსტერი, ჯერემი პოლი, ბილი იანგი

**ლადო ჭულუკიძე**



**დაგლტიეის ჩემპიონატი**

ლოს ანჯელესი. ხელოვნური საფარი. საპრიზო 3 მილიონი $



მარია შარაპოვა

REUTERS ლოს ანჯელესი

# აღძმუტებული მაშა და აღძვიტინებული სერენა

**ჯგუფური ეტაპი**

**წითელი ჯგუფი**

**სერენა უილიამსი (7, აშშ) — ელენა დემენტიევა (5, რუსეთი) 7:6 (7:5), 7:5**

| | თამ. | სეტი |
|---|---|---|
| უილიამსი | 2-0 | 4-1 |
| დევენპორტი (1) | 1-0 | 2-0 |
| მისკინა (3) | 0-1 | 1-2 |
| დემენტიევა | 0-2 | 0-4 |

**შავი ჯგუფი**

**ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) — ვერა ზვონარიოვა (8, რუსეთი) 6:1, 6:0; მარია შარაპოვა (6, რუსეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (4, რუსეთი) 6:1, 6:4**

| | | |
|---|---|---|
| მორესმო | 1-0 | 2-0 |
| შარაპოვა | 1-0 | 2-0 |
| კუზნეცოვა | 1-1 | 2-2 |
| ზვონარიოვა | 0-2 | 0-4 |

ამელი მორესმომ, ვინაც წლის დამაგვირგვინებელ ტურნირზე ტიტულის გარდა ამქრის პირველობისთვისაც იბრძვის, შეჯიბრი შთამბეჭდავი გამარჯვებით დაიწყო. პირველ ტურში თვისტომ კუზნეცოვასგან ძლეულ ვერა ზვონარიოვას მან მხოლოდ ერთი გეიმი დაანება და სულ რაღაც 54 წუთში შემუსრა. მორესმო მთელი შეხვედრის განმავლობაში მრავალფეროვნად, ხალისით ბურთაობდა და მეტოქის 25 შეცდომის წილ მხოლოდ ექვსჯერ მიჰქარა.

შეგახსენებთ, რომ საიმისოდ, რათა ლინდსი დევენპორტს სეფეჩოგანი ჩამოართვას, მას ტურნირის მოგება სჭირდება, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუკი ამერიკელი ნახევარფინალში გასვლას ვერ შეძლებს, მორესმოს მხოლოდ ფინალში გასვლაც ეყოფა.

სხვაფრივ — მარია შარაპოვამ სტეიპლზსენთერული ხელოვნური მაგარსაფარი მაძღრისად დაივემოვნა და ტანდაბალ თვისტომ კუზნეცოვას, ვისთანაც აქამდე ნათამაშებ ორ მატჩში ორჯერვე წაეგო, ბდღვირი აღინა. სექსმაშამ მძლავრ მოწოდებას ბადესთან თამაში შეუხამა და მეტოქის 9 მომგებიანი დარტყმის სანაცვლოდ 23 საქულე დარტყმა მოაქუჩა.

„ყველაზე მაგარ რვა გოგონას შორის თამაშით ძალიან აცქმუტებული ვარ — იძახდა ის ნამატჩევს — განსაკუთრებით კი ის მიხარია, ჩემი საყვარელი საკალათბურთო გუნდის, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ბუდეში რომ მიწევს გამოსვლა."

რაც შეეხება დღის მესამე შეხვედრას, აქ კვლავ გაილაღა სერენა უილიამსმა. ამ ჯერზე მან ერთობ მრავალსტილად ითამაშა და, მართალია, თავისი გარჯით ბოლომდე კმაყოფილი არ დარჩენილა — რალაც-რალაცები კიდევ დასახვეწიაო — ჯამში მაინც უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. „ამდენთვიანი უქმობის შემდეგ აქ თამაში ძალიან მიჭირს, მაგრამ ვიბრძვი და იმედი მაქვს, რომ გარჯა დამიფასდება" — ამბობდა ის მერე.

მის ერთგულ ქომაგებს კი მოგაგონებთ, რომ სერენას წლის შემაჯამებელ ტურნირზე 2001 წელს უპირველია, 2002-ში ფინალამდე მიატანა, ხოლო შარშან — ფეხზე გადატანილი ოპერაციის გამო — იქ ჩოგნის გაქნევა ვერ შეძლო.

**ლევან ქელაურაძე**

# შაულიაიმ ვაშაკიძე გაუშვა და დაიტოვა

## ლიტვაში ბაბიაშვილს უფრთხიან



გუშინ ფიბა-ევროპის თასზე ლიტვის „შაულიაი“ აზერბაიჯანულ „გალას“ შეხვდა და „ქართული დერბის“ მოლოდინში ტატო ვაშაკიძეს შაულიაიში შევეხმიანეთ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვაშაკიძე „შაულიაიში“ აღარ თამაშობს: ის ქვედა დივიზიონის „პიელო ჟვეჟდაში“ გაანათხოვრეს. ტატოს ახალი გუნდი შაულიაიდან 70 კილომეტრში მდებარე ქალაქ პასვალოსშია და ქართველ გამთამაშებელს საცხოვრებელი ადგილი არ გამოუცვლია, უმეტესადაც თავის ძველ გუნდთან ერთად ვარჯიშობს. ვაშაკიძეს ლიტვაში რომ შევეხმიანეთ, დარბაზში მიდიოდა, გვითხრა, „გალა“ მატჩისწინა ვარჯიშს დაასრულებს და ზვიად ბაბიაშვილთან ცოტას გავივლიო. მანამდე კი თავის ამბებზე დაველაპარაკეთ...

— „შაულიაიში“ აღარ ვთამაშობ, თუმც უმეტესად ამ გუნდში ვვარჯიშობ.

— ეგ როგორ?

— ის გუნდი, რომელშიც გამანათხოვრეს, შაულიაიდან 70 კილომეტრშია. ასე რომ, ბინის გამოცვლაც არ დამჭირდა და თამაშებზე შაულიაიდან დავდივარ. ვარჯიშებზეც მივდივარ ხოლმე, თუმც ძირითადად „შაულიაიში“ ვემზადები. გუნდების ხელმძღვანელები ასე არიან შეთანხმებულნი.

— რატომ გაგანათხოვრეს და როგორ გუნდში?

— „პიელო ჟვეჟდა“ ქალაქ პასვალისის გუნდია და უმაღლესის ქვედა, A ლიგაში თამაშობს. საკმაოდ ძლიერი გუნდია. თუ ამ შაბათ-კვირის თამაშებს მოვიგებთ, პირველ ადგილზე ავინაცვლებთ. მე ბევრს მათამაშებენ და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ვარ, საშუალოდ მატჩში 20 ქულას ვაკეთებ.

— „შაულიაიში“ დარჩენის შანსი არ გქონდა?

— რომც მქონოდა, არ დავრჩებოდი, რადგან იქ ძალიან იშვიათად მიწევდა მოედანზე გასვლა. „პიელო ჟვეჟდაში“ კი თამაშის პრობლემა არ შემქმნია და, ასე ვთქვათ, ახლა აღდგენითი პროცესი მაქვს ხანგრძლივი უთამაშებლობის შემდეგ.

— „შაულიაიში“ რატომ არ გათამაშებდნენ? ალბათ მზად არ იყავი...

— ცხადია, ისეთ დონეზე ვერ ვიყავი, როგორც გუნდის წამყვანი მოთამაშეები, თუმც სხვა ფაქტორებიც არსებობდა... ესაა ლიტველთა საკალათბურთო პოლიტიკა, რაც თავისიანის გატანაში მდგომარეობს. იქ ჯერ ლიტველია და მერე სხვა. თუ ლეგიონერი ორი თავით არ სჯობს ადგილობრივს, არაფრით ათამაშებენ. ისე, ლიტვაში, ლეგიონერები ცოტაა, აქ ისედაც ბლომად არიან ნიჭიერი ბავშვები და უჯობთ, ისევ თავისიანებს მიხედონ.

— თუ ეს იცოდი, რატომ მიხვედი „შაულიაიში“?

— სწორედ მაგაში შევცდი, პირდაპირ უმაღლესი ლიგის გუნდში რომ მივედი. სკოლა დავამთავრე და ეგრევე „შაულიაიში“ დამიძახეს, რაზეც უარი ვერ ვთქვი. კი მეუბნებოდნენ, ჯერ ქვედა ლიგაში ითამაშე, გამოცდილება შეიძინე და მერე წადი ძლიერ გუნდშიო, მაგრამ არ დავიჯერე და შევცდი. „შაულიაიმ“ ბინა, მანქანა, ხელფასი მომცა და ასეთ შემოთავაზებაზე უარის თქმა ძალიან გამიძნელდა.

— და რა გააკეთე ასეთი, რით დააინტერესე შაულიაიელები?

— სკოლის გუნდის ლიდერი ვიყავი, ჩემპიონი გავხდი და ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებშიც მოვხვდი. „შაულიაიც“ ამის შემდეგ დამიკავშირდა, ბევრს დამპირდა, საიდანაც ყველაზე მთავარი არ შეასრულა — არ მათამაშა.

— ესე იგი ნაწყენი ხარ...

— არა, მე მესმის გუნდის ხელმძღვანელების. „შაულიაი“ „ჟალგირისის“ შემდეგ მეორე გუნდია ლიტვაში და ახალგაზრდებს ვერ დაეყრდნობა. 30-32 წლის ხალხს სკამზე არავინ დასვამს, მით უმეტეს მაშინ, როცა ისინი ჯანზე არიან. „პიელო ჟვეჟდაში“ ახალ წლამდე გამანათხოვრეს, მაგრამ ამ გუნდს რეალურად შეუწევს უმაღლეს ლიგაში გადასვლის უნარი და ალბათ სეზონის ბოლომდე აქ დავრჩები.

— „შაულიაიში“ ახლა ზვიად ბაბიაშვილი იმყოფება. ხომ არ გინახავს?

— როგორ არა, დღეს „შაულიაისთან“ ერთად ვივარჯიშე და ჩვენს შემდეგ მოედანი „გალამ“ დაიკავა. ბაბიაშვილი ორი წუთით ვნახე, გადავკოცნე, მოვიკითხე და შინ წამოვედი მოსაწესრიგებლად. ახლა ისევ დარბაზში წავალ, „ბაბუს“ ეგებ მეტი თავისუფალი დრო ჰქონდეს. სხვათა შორის, ბაბიაშვილს აქაურები ძალიან უფრთხიან. „შაულიაის“ თეორიულ მეცადინეობაზეც ვიყავი და მოთამაშეები გააფრთხილეს, ქართველი ფარქვეშ ძალიან სახიფათოაო.

— „შაულიაი“ — „გალას“ ალბათ მაყურებელი არ მოაკლდება, აზერბაიჯანელებს ხომ რიმას კურტინაიტისი წვრთნის...

— მართლაც დიდი ამბავი იქნება. თამაშის დაწყებამდე კურტინაიტისსა და „შაულიაის“ პრეზიდენტი ადომის კლემავიჩუსს ლიტვის დამსახურებული მწვრთნელის წოდებას მიანიჭებენ.

— რით დაიმსახურა კურტინაიტისმა ეგ წოდება? უკვე მესამე წელია, აზერბაიჯანში მუშაობს...

— კურტინაიტისი ლიტვის ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელია. ნაკრებში ის „შაულიაის“ თავკაცის, რამუნას ბუტაუტასის თანაშემწეა და ლიტვის კალათბურთის ფედერაციამაც ამიტომ დააფასა. ისე, კურტინაიტისს აქ დიდი ავტორიტეტი აქვს, ეგაა, მოთამაშეებს არ უყვართ მძიმე და მომქანცველი ვარჯიშების გამო.

— შენ ვის უქომაგებ, „გალას“ თუ „შაულიაის“?

— რა თქმა უნდა, „შაულიაის“, თუმც არც უნდა ჩემი მხარდაჭერა, უეჭველად მოიგებს...

**ირაკლი პერტაია**

## საქართველოს ჩემპიონატი

# შოუ იქნება. თამაში?

## რუსთაველმა და დინამომ სიტყვა თქვეს



ზურაბ ტომარაძე



ოთარ ხმელიძე

თქმა არ უნდა, წინა სეზონთან შედარებით ეროვნულ ჩემპიონატში ახლა ხალვათად არიან ძლიერი გუნდები და შესაბამისად, დაძაბული მატჩებიც იშვიათად გამოერევა ხოლმე. ამის მიუხედავად, კალათბურთის ფედერაციამ მაინც შეინარჩუნა მეტ-ნაკლებად საინტერესო მატჩების წინ პრესკონფერენციის გამართვის შარშან დანერგილი ტრადიცია და გუშინ ჟურნალისტები მომავალ სამშაბათს გასამართ „დინამო“ — „თუჯის“ მწვრთნელ-მოთამაშეებთან შეგვახვედრა კაფე „მსოფლიო სპორტში“.

პრესკონფერენცია გახსნა კალათბურთის ფედერაციის პრესსამსახურის უფროსმა ზურაბ თალაკვაძემ, რომელმაც მორიგი სიახლე გვამცნო: ვერის ბაღში ეროვნული ჩემპიონატის მატჩებისას თურმე მრავალი სახალისო შეჯიბრი თუ შოუ მოეწყობა — სამქულიანების კონკურსები გულშემატკივართა შორის, გასართობი მუსიკალური ნომრები და ასე შემდეგ. სამშაბათის მატჩზე საუბარი კი რუსთაველთა თავკაცმა ოთარ ხმელიძემ დაიწყო.

„მართალია, ისეთი მძლავრი შემადგენლობა არ გვყავს, როგორიც გასულ წლებში, მაგრამ ამ ეტაპზე უკეთესი გუნდის გაკეთება შეუძლებელი იყო. ჩვენ ჯერ არ შევხვედრილვართ გუნდის მთავარ სპონსორს, საწარმო „თუჯის“ ერთ-ერთ ხელმძღვანელ ფლორიან კასტროლს. იგი ჯერაც საფრანგეთშია და ტელეფონით საუბრისას დაგვაიმედა. მისი ჩამოსვლის შემდეგ ალბათ კიდევ უფრო გავძლიერდებით, ამ ეტაპზე კი ჩვენი მთავარი მონაპოვარი ირანიდან დაბრუნებული არჩილ ჟღენტია, რომელიც სრულიად უანგაროდ დათანხმდა „თუჯში“ თამაშს, მას ხელფასი არ ექნება.

... „დინამო“ საკმაოდ სერიოზული გუნდია და ვფიქრობ, ჩემპიონატში მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს. საინტერესო მატჩი უნდა გამოვიდეს. ვნახოთ, რა იქნება.“

დინამოელთა თავკაცმა ზურაბ ტომარაძემ კი კარგი ამბავი ამცნო მისი გუნდის გულშემატკივრებს: „დინამომ“ ვალერი კილაძისა და ბუბა ბერიშვილის კვალზე ამ დღეებში შიო ხეცურიანიც შეიმატა და უკვე საკმაოდ სოლიდურ ძალას წარმოადგენსო.

ზურაბ ტომარაძე: „რუსთავის გუნდს არც ტრადიციები აკლია, არც ამბიცია და არც გულშემატკივარი. ამ გუნდს უკვე საკუთარი სახე ჩამოუყალიბდა ბოლო წლებში და თამაშიც ალბათ საკმაოდ დაძაბული იქნება, „თუჯი“ ხომ ჩვენი უშუალო კონკურენტია...

... რაც შეეხება ჩვენს გუნდს, „დინამოს“ ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავს და სტაბილურობა აკლია. ახლა ტრავმებმაც შეგვაწუხა და სამშაბათს ახალწვეულები ალბათ ვერ ითამაშებენ. ალბათ არ იქნება ლაშა ლოსაბერიძეც, თუმც „თუჯთან“ მაინც მხოლოდ მოსაგებად ვითამაშებთ.“

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ცქიტიშვილმა გამოანათა დენვერმა გაიბრწყინა



დენვერელებმა შაკილ ონილს გასაქანი არ მისცეს

REUTERS მაიამიდან

— 11 ნოემბერი —

**დენვერი 117:109 დეტროიტი**

**დენვერი:** მილერი (14), ბაკნერი (2), ენტონი (34), მარტინი (6), კემბი (4); ბოიკინსი (32),ვაიტი (13), ჯონსონი (7), ელსონი (5), *ცქიტიშვილი* (8 წუთი, 1 ჩაქრა)

**დეტროიტი:** ბილაფსი (16), ჰამილტონი (25), პრინსი (13), რ. ვოლესი (6), მაკდაიესი (15); დელფინო (17), კემბელი (9), ჰანტერი (3), კოულმენი (3), ჰემი (2)

**მაიამი 93:113 დალასი**

**მაიამი:** ონილი (32 ქულა, 10 მოხსნა), ვეიდი (20)

**დალასი:** ნოვიცკი (41 ქულა, 10 მოხსნა), დანიელსი (22)

**ჰიუსტონი 91:96 მინესოტა**

**ჰიუსტონი:** მინგი (25), ტეილორი (19)

**მინესოტა:** გარნეტი (20 ქულა, 17 მოხსნა, 9 პასი), კასელი (18)

ნიკა ცქიტიშვილიც გამოჩნდა. ტრავმის თუ სხვა მიზეზთა გამო 213-სანტიმეტრიანმა ქართველმა ფორვარდმა „დენვერის“ პირველი ხუთი თამაში გამოტოვა და მოედანზე მეექვსეში, ჩემპიონ „დეტროიტთან“ გამოვიდა. რატომ მაინცდამაინც „დეტროიტთან“? მიზეზი ძველი და ბანალურია — როგორლაც ასე მოხდა, „დენვერმა“ იოლად მოინელა ჩემპიონი და ჯეფ ბზდელიკმაც მატჩის მიმდინარეობისას მაქსიმალურად დაასვენა ლიდერები.

ცქიტიშვილისთვის თავისი მესამე ნბა-ური სეზონის სადებიუტო თამაში ერთობ უფერული გამოდგა. მას საკმაოდ ჰქონდა დრო, მწვრთნელისთვის და ხალხისთვის თავი შეეხსენებინა, თუმც რვა წუთში ბევრიც ვერაფერი მოახერხა — ერთხელ ესროლა, ისიც ააცილა და მოედანი ერთადერთი ჩაჭრით დატოვა.

ცქიტიშვილის უფერულობა ალბათ ბევრს არ შეუნიშნავს, რაკი მისი თანაგუნდელები ჩემპიონს ბდღვნიდნენ და, მართალია, მხოლოდ 8 ქულით, მაგრამ მაინც დამაჯერებლად მოუგეს. წლევანდელს ასე არ უთამაშია „ნაგეტსის“ ჯეელ ლიდერ კარმელო ენტონის, ვინაც მარტო პირველ ტაიმში 16 ქულას მოუყარა თავი და კიდევ უკეთ გაისარჯა მესამე მეოთხედში, როცა 11 ქულა მოიხვეჭა და თავისიანები 15 ქულით მოწყვიტა „დეტროიტს“. საბოლოოდ ენტონის სეზონში უმეტესი, 34 ქულა მოუგროვდა და სახელოვან გამარჯვებაშიც ლიდერის წილი დაიდო.

კარიერის საუკეთესო თამაში ჰქონდა „დენვერის“ ცოცქნა სათადარიგო გამთამაშებელ ერლ ბოიკინსს. 165-სანტიმეტრიანმა ბოიკინსმა რაც ისროლა, ლამის ყველა ჩააგდო და ერთგვარი რეკორდიც დაამყარა — ნბა-ს ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, 170-სანტიმეტრზე დაბალ მოთამაშეს 30 ქულაზე მეტი გაეხერხებინოს. ენტონი „სპად“ ვებს, რომელიც იატაკიდან 168 სანტიმეტრს აითვლიდა, ოთხჯერ ჩაუგდია 30 ქულა, მეტი კი ველარ მოუხერხებია.

რაც შეეხებათ დეტროიტელებს, ჩემპიონებს მონსტრი მეფარე ბენ ვოლესი აკლდათ, თუმც ვაჟკაცურად მოიქცნენ და დენვერში დამარცხება ამ საცდუნებელ მიზეზს არ მიაწერეს. თანაც მშვენივრად ითამაშა და „პისტონზს“ 16 ქულა მოუნაგრა ვოლესის შემცვლელმა ანტონიო მაკდაიესმა.

მარცხს გაუსინჯა გემო აქამდე ერთადერთმა დაუმარცხებელმა გუნდმა „მაიამი ჰითმა“. ფლორიდელები ტეხასურ „დალასს“ მასპინძლობდნენ და მიჯრით ოთხი გამარჯვებისთვის ერთის წასამატებლად შაკილ ონილის 22 და დუეინ ვეიდის 20 ქულაც არ ეყოთ. დალასელმა დირკ ნოვიცკიმ 41 ქულა დაატეხა მაიმელებს და უკვე პირველივე მეოთხედის 15 ქულით მოგებით მიახვედრა მეტოქე, რომ ნბა-ში ცხოვრება არც ისე მარტივია და ტკბილი, როგორც „დალასთან“ შეხვედრამდე ჩანდა.

დღის მესამე მატჩში, კევინ გარნეტის „მინესოტამ“ გასვლითი ომი მოუგო იაო მინგის „ჰიუსტონს“. იაომ ბლომად ბურთები ყარა და მატჩი 25 ქულით დაასრულა, მაგრამ ჯერ კიდევ საკითხავია, არის თუ არა „ჰიუსტონი“ მისი გუნდი, იქ ხომ ტრეისი მაკგრეიდიც თამაშობს და სადაც ეს ლეგენდით მოქნილი ბიჭია, იქ სხვის პირველობაზე საუბარი უადგილოა. ჰიუსტონელთა სამწუხაროდ, ამ შეხვედრაში მაკგრეიდის საზარდულის ტრავმის გამო არ უთამაშია.

**კოტე ყოჩიშვილი**

## ევროლიგა

### პირველი ჯგუფური ეტაპი. II ტური. 10-11 ნოემბერი



ოლიმპიელი ვლადიმერ ბოისა ბარსელონელ გრეგორი ფუჯოს აკავებს

REUTERS ლიუბლიანიდან

**A ჯგუფი**

კლიმამიო 92:71 ეფესი

ციბონა 60:64 ოლიმპიაკოსი

პროკომი 61:69 რეალი

ესტუდიანტესი 71:59 პარტიზანი

**B ჯგუფი**

აეკ 76:86 ჟალგირისი

ვილერბანი 73:82 სკავოლინი

ძირითადი დრო 70:70

მაკაბი 93:88 სიენა

ოლიმპია 69:83 ბარსელონა

ოლიმპია: ბოისა (35 წუთი, 8 ქულა, 9 მოხსნა), მარკოიშვილი (11 წუთი, 3 ქულა, 2 მოხსნა)

**C ჯგუფი**

ბენეტონი 93:60 სკაილაინერზი

პანათინაიკოსი 73:85 ცსკა

ტაუ 83:79 უნიკახა

ულკერი 70:75 პო ორტეზი



# როგორ თაღლით ცხენებს სჯის

**ათენის ოლიმპიადაზე** გერმანელებმა ბლომად ოქრო კი მოიპოვეს, მაგრამ სოკ-ის პრეზიდენტი ჟაკ როგი თავისი ანტისადოპინგო პროგრამით არც თამაშების დასრულების შემდეგ ანებებს თავს სპორტსმენებს და გერმანელებსაც მორიგ ოქროსთან განშორება მოუწევთ.

საცხენოსნო სპორტში მათ დიდ წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ ოლიმპიადის დასრულების შემდეგ ორმა მხედარმა უკვე დაუბრუნა ოქროს მედლები სოკ-ს, ვინაიდან მათი ცხენები დოპინგ-ტესტებისას ჩავარდნენ. ამჯერად გერმანელებს გუნდურ კონკურში მოპოვებული უმაღლესი ჯილდოც ჩამოერთმევათ.

გოლდფივერი და რინგვუდ კოკატო იმ „უსინდისო“ ცხენების სახელებია, რომლებმაც ოლიმპიადაზე გასამარჯვებლად დოპინგის მიღება „გადაწყვიტეს“. მათი მხედრები კი, რომლებიც რა თქმა უნდა, არაფერ შუაში არიან, ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი ლუდგერ ბეერბაუმი და ბეტინა ჰოი გახლავან.

საბოლოო გადაწყვეტილებას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი 24-26 ნოემბერს მიიღებს, სოკ-ის წლევანდელ ბოლო შეკრებაზე. სავარაუდოდ, გერმანელებს გუნდურ ოქროს მედალს ჩამოართმევენ და მეორე ადგილზე გასულ ამერიკელებს გადასცემენ. იანკების ყოფილი ვერცხლი შვედებს ერგებათ, ხოლო მათი ბრინჯაო შესაბამისად მეოთხე ადგილზე გასულ ჰოლანდიელებს გადაეცემათ.

გერმანელთა დარად, ოქროს ალბათ ირლანდიელ ქენ ოკონორსაც ჩამოართმევენ. მიზეზი იგივეა, ირლანდიელის ცხენი დოპინგ-ტესტისას ჩაფლავდა. არადა, ირლანდიელთათვის ეს ამბავი ორმაგად საწყენია. მათ ხომ ათენში ოდენ ერთი ოქროს მედლის მოპოვება მოახერხეს და ახლა იმასაცართმევენ.

**ლადო წულუკიძე**





ნჰლ-ში მძვინვარე ლოკაუტს ევროპაში გამორიდებული დიდი ჩეხი ჰოკეისტი იარომირ იაგრი მშობლიური ჩეხეთიდან რუსეთში გადაბარგდა. დღეიდან ის ომსკის „ავანგარდში“ ითამაშებს

REUTERS ომსკიდან



### გერმანია

II [illegible]

XIII ტური

ფიურტი 2:0 [illegible]

მიუნხენი 5:1 ობერჰაუზენი

ერფურტი 1:0 ბურგჰაუზენი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

XVI ტური

ოსნაბრიუკი 1:1 ჰერტა (მ)

სამხრეთ რეგიონალლიგა

XV ტური

ჰოფენჰაიმი 1:0 დარმშტადტი

ნოტინგენი 0:1 აალენი

### ავსტრია

I დივიზიონი

XVIII ტური

ალტახი 0:1 გრატკორნი

კაპფენბერგი 2:2 უნტერზიბენბრუნი

ლინცერი 2:3 ლეობენი

ვიორგლი 0:0 აუსტრია (ლ)

კერნტენი — რიდი გადაიდო

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა

XV ტური

ბადენი 1:1 ბელინცონა

### იტალია

სერია B

XIII ტური

ასკოლი 0:2 კროტონე

### საფრანგეთი

II დივიზიონი

XVI ტური

კლერმონი 0:0 ამიენი

კრეტეი 0:1 ნიორი

გრენობლი 1:2 ტრუა

გენიონი 2:1 ლორიანი

ლე ავრი 0:0 ანჟე

სედანი 2:0 მონპელიე

ლე მანი 1:2 ნანსი

### ჰოლანდია

I დივიზიონი. XIII ტური

დენ ჰააგი 5:1 როზენდალი

II დივიზიონი. XIV ტური

აპელდორნი 2:1 მაასტრიხტი

დორდრეხტი 1:1 ექსელსიორი

სიტარდი 3:1 კამბური

იმლხი 1:0 [illegible]

ჰელმონდი 5:0 [illegible]

ჰერაკლესი 2:2 [illegible]

სპარტა 3:0 ვენლო

ტელსტარი 1:2 ზვოლე

### პორტუგალია

სუპერლიგა

X ტური

ეშტორილი 0:1 აკადემიკა

### ირლანდია

პრემიერლიგა

XXXV ტური

შემროკი 3:1 სენტ პატრიკსი

ბოჰემიანსი 4:0 დუბლინი

დროჰედა 1:3 კორკ სიტი

შელბურნი 2:1 უოტერფორდი

### ინგლისი

ასოციაციის თასი

II ეტაპი

ბრისტოლი 1:1 ბრენტფორდი

პორტ ვეილი 3:1 კიდერმინსტერი

საუთენდი 0:3 ლუტონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხსოვნის კვირეული



REUTERS პარიზიდან

პარიზში, უცნობი ჯარისკაცის საფლავზე ხმალს აწრთობს ავსტრალიელ მორაგბეთა კაპიტანი ჯორჯ გრეგანი. ტრიუმფალურ თაღთან მისული პარიზის მერი, ავსტრალიის ელჩი და გარინდული „ვოლაბები" პატივს მიაგებენ მეომართა ხსოვნას. ახლა ევროპაში სწორედ ხსოვნის კვირეულია, ვოლაბები კი მასპინძელ „მამლებს" უნდა ერკინონ.



REUTERS პასადენიდან

# ეროვნული საგანძური

პასადენაში ერთი ხმაურიანი ფილმის პრემიერა გაიმართა. ფილმს „ეროვნული საგანძური" ჰქვია და ის იმაზე მოგვითხრობს, თუ სად, როგორ და როდის გადამალეს აურაცხელი განძი ამერიკის მამა-დამაარსებლებმა. პრემიერაზე მრავალ გამოჩენილს შორის იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონები, სოფთბოლის ლამაზმანი ჯენი ფინჩი და ტანმოვარჯიშე პოლ ჰემი გელფრენდ ლორან დევისსთან ერთად. ისე, თავისი წილი ოქრო ეროვნულ საგანძურში ამათაც შეტანილი აქვთ.



REUTERS პასადენიდან

# სითბოში

ნაცნობი წყვილი ჩანს, უფრო ახლო რომ მივიდეთ, იოლად ამოვიცნობთ მომღერალ ენრიკე იგლესიასს და ჩოგბურთელ ანა კურნიკოვას. ამ ზამთრის პირს ამერიკის უთბილეს ადგილას, მაიამიში ჩასულან და იქაური „ჰითისა" და „დალას მავერიკსის" თამაშსაც დასწრებიან.



REUTERS მაიამიდან



REUTERS მაიამიდან

# შესვენების ხუთეული

„ვიქტორია სიქრითის" კოხტა გოგოცუნები: ჰეიდი კლუმი, ადრიანა ლიმა, ალესანდრა ამბროზიო, ტაირა ბენქსი და ჟიზელ ბიუნდჰენი დიდ გასტროლზე არიან და „მაიამისა" და „ვაშინგტონის" საკალათბურთო მატჩზეც მოხვედრილან, დიდ შესვენებაზე კი შოუც გაუმართავთ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ზომერიკი, ვაკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოღრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge